

186
1972



186



საქართველოს სსრ მთავრობის
ღერგენილებათა კრებული

№ 1

46

იანვარი—თებერვალი

1972 წ.



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი-თებერვალი 1972 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

19003

1. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის წარმოების შემდგომი კონცენტრაციისა და მის საწარმოთა ზელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ
2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 სექტემბრის № 678 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ
3. სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 სექტემბრის № 695 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წიგნის ვაკრობის გაერთიანების „საქწიგნის“ კოლექტივების სოციალისტური შექიბრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 29 ივლისის № 400 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

Handwritten signatures and stamps at the bottom right of the page.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 7 ივნისის № 355 დადგენილების ნებართვით ლობრივ შეცვლის შესახებ
7. მუშათა ორგანიზებული შვიტრეების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე
8. „საქართველოს მხატვართა კავშირთან ცენტრალური სამხატვრო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 ივლისის № 408 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ
9. ბორჯომის მუსიკალური სკოლისათვის ზ. პ. ფალიაშვილის სახელის მიყუთვნების შესახებ
10. მოსე თოიძის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ
11. ფსიქოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარების მდგომარეობისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მისი გამოყენების ღონისძიებათა შესახებ
12. ნამუშევარი ნავთობპროდუქტების შერევისა და გამოყენების შესახებ.
13. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უშუალოდ მაგისტრალური საავტომობილო გზების მახლობლად სოფლების მშენებლობისა და გაფართოების აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ივლისის № 498 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე
14. ბოგდანოვიკის სამყერვლო ფაბრიკისათვის საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის სახელის მიყუთვნების შესახებ
15. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 სექტემბრის № 678 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 იანვრის № 5 დადგენილების დამატების შესახებ
17. საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების — მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წესდების დამტკიცების შესახებ
18. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა შეცვლისა და აღდგენის წესების დამტკიცების შესახებ
19. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის წლის განმავლობაში წამოჭრილ მოთხოვნილებათა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის წესის შესახებ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ ი

1 საქართველოს სსრ კვების მრეწველობის წარმოების შემდგომი კონცენტრაციისა და მის საწარმოთა ხელშეწყობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკის კვების მრეწველობის შემდგომი კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის ღონისძიებათა განხორციელების მიზნით, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის კომისიის, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ბორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვზილობის“ წინადადება იმის შესახებ, რომ გარდაქმნას დარგობრივი ტრესტები და სამმართველოები რესპუბლიკურ სახელმწიფო სამეურნეო ანგარიშის სამრეწველო გაერთიანებად, შეიქმნას საწარმოო ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშის გაერთიანებანი და გამსხვილდეს საწარმოები, აგრეთვე მოხდეს შემდგომი სპეციალიზაცია და წარმოების კონცენტრაცია რესპუბლიკის კვების მრეწველობაში.

2. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ განახორციელოს 1972 წელს გაერთიანება:

ა) ჩაქვის № 1 და № 2 ჩაის ფაბრიკებისა.

განიხილოს „საქართველოს ჩაის“ ტრესტის სისტემის სხვა მცირე ჩაის ფაბრიკების გაერთიანების საკითხი.

გარდაქმნას „საქართველოს ჩაის“ ტრესტი საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სახელმწიფო სამეურნეო ანგარიშის სამრეწველო გაერთიანებად „საქართველოს ჩაი“.

მოაწყოს ცდის სახით 1972 წელს რესპუბლიკური სახელმწიფო სამეურნეო ანგარიშის სამრეწველო გაერთიანების „საქართველოს ჩაის“ შემადგენლობაში ჩაის ფაბრიკების ერთი ტერიტორიული საწარმოო გაერთიანება.

შეისწავლოს 1972 წლის დამლევსათვის საწარმოო გაერთიანების მუშაობის შედეგები და მიღებული შედეგებისა და განზოგადების საფუძველზე გადაწყვიტოს საკითხი 1973-1974 წლებში დანარჩენი ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანებათა შექმნის შესახებ.

ბ) სამტრესტის საწარმოებისა:

- წითელწყაროს და ქვემოქედის ღვინის ქარხნების;
- მახარაძის და ჩოხატაურის ღვინის ქარხნების;
- ოკამისა და კასპის საქარხნო სამმართველოების;
- თბილისის № 1 და № 4 ღვინის ქარხნების;

— თბილისის საწარმოო კომბინატისა და ლიქიორ-არყის ქარხნის.

გარდაქმნას მეღვინეობის მრეწველობის ტრესტი „სამტრესტი“ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკურ სახელმწიფო სამეურნეო ანგარიშის სამრეწველო გაერთიანებად „სამტრესტი.“

გარდაქმნას სამტრესტის ღვინის ქარხნების უკანასკნელ წლებში ერთგვართვანი საწარმოების გამსხვილებისა და შეერთების გზით შექმნილი საქარხნო სამმართველოები ღვინის ქარხნების ტერიტორიულ საწარმოო გაერთიანებებად:

გ) „საქპურკონდიტერის“ ტრესტის საწარმოებისა:

— თბილისის საკონდიტრო ფაბრიკების „მზიურისა“ და „საამოს“;

— თბილისის პურკომბინატისა და თბილისის ბლითის ქარხნის.

გარდაქმნას „საქპურკონდიტერის“ ტრესტი საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკურ სახელმწიფო სამეურნეო ანგარიშის სამრეწველო გაერთიანებად „საქპურკონდიტერი“.

დ) „საქმინხილწყლების“ სამმართველოს საწარმოებისა:

— ბორჯომის № 1 და № 2 ჩამოსასხმელი ქარხნების;

— თბილისის № 1, 2 და 3 ლუდის ქარხნების;

— ქუთაისის ლუდის ქარხნის და უაღკოპოლო სასმელების ქარხნის.

გარდაქმნას „საქმინხილწყლების“ სამმართველო საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკურ სახელმწიფო სამეურნეო ანგარიშის სამრეწველო გაერთიანებად „საქმინხილწყლები“.

ე) თბილისის № 1 და № 2 თამბაქოს ფაბრიკებისა.

გარდაქმნას „საქთამბაქოს“ ტრესტი საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკურ სახელმწიფო სამრეწველო სამეურნეო ანგარიშის გაერთიანებად „საქთამბაქო“.

გარდაქმნას „საქეთერცხიმზეთის“ ტრესტი საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკურ სახელმწიფო სამეურნეო ანგარიშის საწარმოო გაერთიანებად „საქეთერცხიმზეთი“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტმა — „საქკონსერვბილბოსტანმა“ განახორციელოს 1972 წელს:

— თბილისის № 1 და № 2 საკონსერვო ქარხნებისა და ბოლნისის საკონსერვო ქარხნის გაერთიანება;

— მარნეულის ხილ-კენკრის ღვინის წარმოების შეერთება თბილისის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანასთან;

— გორისა და ტყვიავის დამამზადებელი პავილიონების გარდაქმნა დამამზადებელ პუნქტებად და დაუქვემდებაროს ისინი გორის დამამზადებელ კანტორას;

— „საქხილბოსტანვაჭრობის“ ტარის საწარმოების საწარმოო გაერთიანების შექმნა თბილისის, ბათუმის, გორისა და გარდაბნის ტარის ქარხნების შემადგენლობაში;

— ტყვიავის ხილკენკრის ღვინის ქარხნის შეერთება გორის ხილკენკრის ღვინის ქარხანასთან.

გარდაქმნას „საქკონსერვტრესტი“ და „საქხილღვინის“ სამმართველო ორ

დამოუკიდებელ რესპუბლიკურ სახელმწიფო სამეურნეო ანგარიშის სამრეწველო გაერთიანებად „საქკონსერვი“ და „საქხილღვინო“.

4. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ განახორციელოს 1972 წელს:

ა) წითელწყაროს, სიღნაღის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის და ხაშურის მთავარი ყველერბოქარხნების გაერთიანება თბილისის რძის კომბინატის შემადგენლობაში.

ბ) გარდაქმნა:

— ქუთაისის მთავარი რძის ქარხნისა რძის კომბინატად, ამასთან შეიყვანოს იგი ონის, ამბროლაურის, ზესტაფონის და ჭიათურის ყველერბოქარხნების შემადგენლობაში;

— სამტრედიის მთავარი ყველერბოქარხნისა რძის კომბინატად, ამასთან შეიყვანოს იგი მახარაძის, ლანჩხუთის, ცხაკაიას და გეგეჭკორის მთავარი ყველერბოქარხნების შემადგენლობაში;

გ) ხორცკომბინატების გაერთიანება:

— თბილისისა და გურჯაანის;

— გორისა და ხაშურის;

5. დაევალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს“ შემუშაონ 1972 წელს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად ტექნიკურ-ეკონომიურად დასაბუთებული სქემები და განახორციელონ დარგების მმართველობის შემდგომი გაუმჯობესება და საწარმოო გაერთიანებების მოწყობა.

6. იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატების დაინტერესება საქვეუწყებო დარგებისა და საწარმოების გაუმჯობესებით მუშაობის ახალ პირობებში, მიზანშეწონილად ჩაითვალოს ამ სამინისტროების წინადადება მათი ცენტრალური აპარატების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ; გადაყვანა განხორციელდეს მას შემდეგ, რაც საკითხი შეთანხმებული იქნება სათანადო საკავშირო ორგანოებთან.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმშენმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა გაითვალისწინონ შემდეგში ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობის დაგეგმვისა და დაპროექტების დროს მათი დისლოკაცია იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა გაფართოვდეს არსებული ტერიტორიული საწარმოო გაერთიანებების, კომბინატებისა და სხვა ობიექტების საქმიანობის ზონა და მოეწყოს ახალი ტერიტორიული საწარმოო გაერთიანებები, კომბინატები და სხვა ობიექტები.

8. საქართველოს კვ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კვ აჭარის საოლქო კომიტეტის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კვ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, საქა-

ლექო და რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩაითვალოს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, წარმოების კონცენტრაციის გაძლიერება და მრეწველობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. შავანაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1972 წ. 11 იანვარი, № 20.

2 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 სექტემბრის № 678 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 სექტემბრის № 678 დადგენილების შესახებ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ციტრუსოვანთა კულტურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 4 მარტის № 237 დადგენილების მე-16 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

2. პუნქტი 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 8 აგვისტოს № 839 დადგენილებისა „საბჭოთა ძეგურნეობების მუდმივი მუშებისათვის, სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფისა და საკუთარი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში მათთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ“ საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის წესის ნაწილში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. შანუშვაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1972 წ. 15 თებერვალი, № 75

3 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 სექტემბრის № 695 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 სექტემბრის № 695 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ზ. შანუშვაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯაფარიშვილი.

ქ. თბილისი, 1972 წ. 15 თებერვალი, № 76

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972
 წლის 15 თებერვლის № 76 დადგენილების
 დანართი

ნ უ ს ხ ა

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სკკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 სექტემბრის № 695 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. „სამრეწველო სახალხო კომისარიატების დამხმარე მეურნეობების შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქავშირო კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კვ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 17 ნოემბრის № 1759 დადგენილების 22-ე პუნქტის ქვეპუნქტები „ა“ და „ბ“.

2. პუნქტი 3 საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1621 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

3. პუნქტი 10 საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1624 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

4. პუნქტი 7 საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 3 ნოემბრის № 646 დადგენილებისა „რესპუბლიკაში სკოლა-ინტერნატების მოწყობის შესახებ“.

5. პუნქტი 12 საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 31 იანვრის № 78 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ მიწის ნაკვეთების შენარჩუნების ნაწილში.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს
პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბავდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წიგნის ვაპროგის გაერთიანების „საქმინის“ კოლექტივების სოციალისტური შუჭიბრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტს დააწესონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წიგნის ვაჭრობის სისტემის კოლექტივების გარდამავალი წითელი დროშები, ფულადი პრემიები და დაამტკიცონ სოციალისტური შეჭიბრების პირობები.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯაგანიშვილი.

საქართველოს პროფესიულ კავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
თ. მოსაშვილი.

ქ. თბილისი, 1972 წ. 23 თებერვალი, № 87

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ე ბ ი

5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 29 ივლისის № 400 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„საქართველოს სსრ ტყეების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 29 ივლისის № 400 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 17 მაისის № 514 დადგენილება „1949 წლისათვის ხანძრებისაგან ტყეების დაცვის ღონისძიებათა შესახებ“



2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 2 სექტემბრის № 1354 დადგენილება „1952 წლისათვის საქართველოს სსრ ტყეებში ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრაღიშვილი**.

ქ. თბილისი, 1972 წ. 5 იანვარი, № 2

6 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისათვის სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის პასუხისმგებლობის შემდგომი ამოღებისა და კონტროლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს ნაწილობრივი ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 7 ივნისის № 355 დადგენილებაში „სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა დავეგმვის წესის შესახებ“.

აღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დაწესდეს, რომ მომავალი წლების მშენებლობისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს დაამტკიცებენ:

მშენებლობებისათვის, რომელთა დაპროექტება ახლად იწყება:

ა) 3 მილიონი მანეთი და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო სააგემო კომიტეტთან შეთანხმებით;

ბ) ერთი მილიონი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა, აგრეთვე კულტურის სახლებისა, კლუბებისა, აღმინისტრაციული, სპორტული და სხვა საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობებისა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0.5 მილიონი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდეა — საქართველოს სსრ სახელმწიფო სააგემო კომიტეტი;

გ) ერთ მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა — საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროები ან უწყებები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, ხოლო კულტურის სახლებისა, კლუბებისა, ადმინისტრაციული, სპორტული და სხვა საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობებისა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,5 მილიონ მანეთზე ნაკლებია — ისინივე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

**მშენებლობებისათვის, რომელთა დაპროექტება წინანდელი წლებიდან
გადმოდის:**

ა) 3 მილიონი მანეთი და მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

ბ) კულტურის სახლებისა, კლუბებისა, ადმინისტრაციული, სპორტული და სხვა საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობებისა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ერთი მილიონი მანეთიდან 3 მილიონ მანეთამდეა — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი;

გ) 3 მილიონ მანეთზე ნაკლები სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა, აგრეთვე კულტურის სახლებისა, კლუბებისა, ადმინისტრაციული, სპორტული და სხვა საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობებისა, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ერთ მილიონ მანეთზე ნაკლებია — საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტრო ან უწყება, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი.

თუ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ან საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ მომავალი წლების მშენებლობისათვის წინააღმდეგობა დასაბუთებულ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებში იცვლება მაჩვენებლები: ობიექტის დასახელება, ადგილსამოცემი, მისი საპროექტო სიმძლავრე, საორიენტაციო ღირებულება, მშენებლობის დაწყების წელი — სატიტულო სიები განმეორებით უნდა იქნას შეთანხმებული შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ან საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან.

დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს მომავალი წლების მშენებლობისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიების დამტკიცების შემდეგ ერთი დეკადის განმავლობაში წარუდგინონ მათი პირები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

7 მუშათა ორგანიზებული შეგროვების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ინსტრუქცია მუშათა ორგანიზებული შეგროვების გატარების წესის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის შიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიანიშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 6 იანვარი, № 6

8 „საქართველოს მხატვართა კავშირთან ცენტრალური სამხატვრო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 ივლისის № 408 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს მხატვართა კავშირის წინადადება და ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს მხატვართა კავშირთან ცენტრალური სამხატვრო საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 ივლისის დადგენილება № 408.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 6 იანვარი № 7.



9 ბორჯომის მუსიკალური სკოლისათვის ზ. პ. ფალიაშვილის სახელის მიაკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს ბორჯომის რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების შუამდგომლობა და დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით მიეკუთვნოს ბორჯომის მუსიკალურ სკოლას კომპოზიტორ ზ. პ. ფალიაშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრეღიშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 7 იანვარი, № 9

10 მოსე თოიძის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს გამოჩენილი ქართველი მხატვრის მოსე თოიძის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტისათვის მოსე თოიძის სახელობის სტიპენდია 50 მანეთის ოდენობით, სამხატვრო აკადემიისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრეღიშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 7 იანვარი № 13

11 უნიკლოგიური მეცნიერების უმაღლესი განვითარების მდგომარეობისა და რესპუბლიკის სახალხო მემკვიდრეობის მისი გამოყენების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების მხრივ მიღწეული გარკვეული წარმატებანი, ფსიქოლოგიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები წარმოებდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტსა და რესპუბლიკის პედაგოგიკურ უმაღლეს სასწავლებლებში. შესრულებულია მთელი რიგი კაპიტალური შრომები, რომელთა ნაწილი ითარგმნა და გამოიკა რუსულ და უცხო ენებზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფუნდამენტური გამოკვლევები, რომლებიც ფსიქოლოგიის ინსტიტუტში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრებზე წარმოებს. საყოველთაო აღიარება პოვა ქართველ ფსიქოლოგთა გამოკვლევებმა „დადგენის თეორიის“ დარგში. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ფსიქოლოგთა რესპუბლიკური საზოგადოება.

მაგრამ სკკ XXIV ყრილობის მიერ სახალხო მეურნეობისა და მეცნიერების წინაშე დასახული ამოცანები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონე ახალ გადიდებულ მოთხოვნებს უყენებენ ფსიქოლოგიურ მეცნიერებას.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ახალი ტექნიკის ათვისების ეფექტიანობისა და მისი მაქსიმალურად გამოყენებისათვის, წარმოების მართვის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის შრომითი საქმიანობის ფსიქოლოგიურ ფაქტორს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო-კვლევით მუშაობას შრომის ფსიქოლოგიისა და საინჟინერო ფსიქოლოგიის დარგში. ტექნიკური პროგრესი სულ უფრო აქტუალურს ხდის გამოკვლევებს სოციალური ფსიქოლოგიის დარგში.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების დიდი სამრეწველო და სხვა საწარმოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ მუშაობაში შრომის ფსიქოლოგიურ ფაქტორს, პრაქტიკულად არ იყენებენ საინჟინერო და სოციალურ ფსიქოლოგიას. მაგალითად, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ქვედანაყოფებში, რომლებიც სამინისტროებთან, უწყებებთან და სამრეწველო საწარმოებთან შეიქმნა, როგორც წესი, არა ჰყავთ ფსიქოლოგიის სპეციალისტები. ახალი ტექნიკის დაგეგმვის, შემუშავებისა და დანერგვის დროს არ ითვალისწინებენ საინჟინერო ფსიქოლოგიისა და შრომის ფსიქოლოგიის საკითხებს. არ წარმოებს ტექნიკური ესთეტიკისა და საინჟინერო ფსიქოლოგიის სპეციალისტთა ერთობლივი მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების გაუმჯობესების პრობლემების გადასაწყვეტად.



მეცხრე ხუთწლეულში საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელების ამოცანასთან დაკავშირებით მუდმივ მზარდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის შემდგომი განვითარების აუცილებლობას. სრულიად არასაკმარისად არის განვითარებული სამედიცინო ფსიქოლოგია და სპორტის ფსიქოლოგია.

სათანადო მუშაობა არ წარმოებს მასობრივი ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებათა (კინო, რადიო, ტელევიზია და ა. შ.) ფსიქოლოგიური საკითხების შესწავლისათვის.

არასაკმარისად მიმდინარეობს კრიმინალური, სასამართლო და შრომა-გასწორების ფსიქოლოგიის საკითხების შესწავლა.

ფსიქოლოგიური მეცნიერების გამოყენებით დარგებში მუშაობას ხშირად ანდობენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც სპეციალური ფსიქოლოგიური განათლება არა აქვთ.

აღნიშნული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია იმით, რომ ჭეშოროვანი ყურადღება არ ექცევა ფსიქოლოგიის გამოყენებით ასპექტების განვითარებას, რესპუბლიკას აქვია ფსიქოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა სპეციალობის კადრები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, საპროექტო და სპეციალურმა საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა, დიდმა სამრეწველო საწარმოებმა და სამეცნიერო ორგანიზაციებმა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საინჟინერო და სოციალური ფსიქოლოგიის, აგრეთვე შრომის ფსიქოლოგიის სპეციალისტთა მოზიდვას მიმდინარე ხუთწლეულში შრომის ნაყოფიერების, ახალი ტექნიკის დაპროექტებისა და ათვისების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის, მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენებისათვის ადამიანის ფსიქოლოგიური ფაქტორის ყოველმხრივ გათვალისწინების საფუძველზე.

2. იმ კონკრეტულ საინჟინერო-ფსიქოლოგიურ გამოკვლევათა წარმოების მიზნით, რაც სპეციალურად მოცემული წარმოებისათვის, სამინისტროებმა, უწყებებმა და რესპუბლიკის დიდმა სამრეწველო საწარმოებმა მოიზიდონ მუშაობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ტექნიკური ესთეტიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის და რესპუბლიკის პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების სპეციალისტები სამეურნეო-სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებში.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ 1972 წლის 1 მაისამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმ საბაზო სამრეწველო საწარმოების შესახებ, რომლებშიც ფსიქოლოგიის ინსტიტუტს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

მიეცემათ საშუალება აწარმოონ მეცნიერული გამოკვლევები საინჟინერო ფსიქოლოგიის, შრომის ფსიქოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის დარგში.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ საშუალება მისცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ კათედრებს აწარმოონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ფსიქიატრიული და ნევროლოგიური საავადმყოფოების სტაციონარებში.

5. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსთან და პროკურატურასთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გამოიყენონ თავიანთ სისტემებში ფსიქოლოგი სპეციალისტები.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გააუმჯობესოს ფსიქოლოგიის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობა და შექმნას საპრობლემო სექციები ფსიქოლოგიური მეცნიერების ძირითად დარგებში.

7. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ საქიროა განვითარდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა პედაგოგიური და ასაკობრივი, საინჟინერო, სოციალური, სამედიცინო ფსიქოლოგიის, შრომის ფსიქოლოგიის, სპორტის ფსიქოლოგიის, სასამართლო და კრიმინალური ფსიქოლოგიის დარგში, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა (კინო, რადიო, ტელევიზია და სხვ.) ფსიქოლოგიური საკითხების შესაქმნელად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თანამედროვე ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის კრიტიკას და ფსიქოლოგიის თეორიის დარგში გამოკვლევათა შემდგომ განვითარებას;

ბ) ფართოდ შემოიღონ პრაქტიკაში მეცნიერ ფსიქოლოგთა მივლინება ჩვენი ქვეყნის დიდ სამეცნიერო ცენტრებში.

8. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მოამზადონ და 1972 წლის 1 თებერვლისათვის წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს წინადადებანი იმ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა დამატებითი თემატიკის შესახებ, რომლებიც ითვალისწინებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემების შემუშავებას დამატებითი დაფინანსების ხარჯზე, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მოეწყოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგადი და გამოყენებითი ფსიქოლოგიის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია.

9. მიზანშეწონილად ჩაითვალოს გადიდდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები კონტინგენტი სპეციალობაზე „ფსიქოლოგია“ 1972—1973 სასწავლო წლიდან 30 კაცამდე ზოგადი ფსიქოლოგიის, შრომის ფსიქოლოგიისა და საინჟინერო ფსიქოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, ბავშვთა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის, სამედიცინო ფსიქოლოგიისა და სპორტის ფსიქოლოგიის სპეციალისტთა მოსამზადებლად. ამ მიზნით:

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გაითვალისწინა 1972 წლიდან მისაღები კონტინენტის გადიდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალობით „ფსიქოლოგია“ ყოველწლიურად 30 კაცამდე საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საერთო მისაღები კონტინენტის ხარჯზე.

10. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ:

ა) შექმნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბავშვთა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრა (1973—1974 სასწავლო წლიდან), სოციალური ფსიქოლოგიის (1974—1975 სასწავლო წლიდან) და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრა (1975—1976 სასწავლო წლიდან);

ბ) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან ერთად შეიმუშაოს ღონისძიებანი, რათა შემოღებულ იქნეს 1974—1975 სასწავლო წლიდან საინჟინერო ფსიქოლოგიის ლექციების კურსი პოლიტექნიკური ინსტიტუტის შესაბამის ფაკულტეტებზე;

გ) განიხილოს საკითხი, რომ შემოღებულ იქნეს 1973—1974 სასწავლო წლიდან რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიურ სპეციალობათა ჯგუფებში ლექციების კურსი პროფესიული ორიენტაციის დარგში.


დ) მოაწყოს 1972—1973 სასწავლო წლიდან თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დეფექტოლოგიის სპეციალისტთა მომზადება და ყოველწლიურად მიიღოს ამ სპეციალობაზე 10 კაცი ინსტიტუტის საერთო მისაღები კონტინენტის ანგარიშში, აგრეთვე მოაწყოს ამ ინსტიტუტში იმ პედაგოგ-დემოგრაფულთა კვალიფიკაციის ამაღლება, რომლებიც დეფექტოლოგებად მუშაობენ სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში;

ე) მოაწყოს იმ კადრების გადამზადება, რომლებსაც უმაღლესი ფსიქოლოგიური განათლება აქვთ და სპეციალობის მიხედვით არ მუშაობენ, იმ მიზნით, რომ გამოყენებულ იქნან ისინი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ფსიქოლოგიის გამოყენებით დარგებში.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან ერთად, გაითვალისწინოს ასპირანტურის მეშვეობით მეცნიერთა კადრების მომზადების გეგმებში ასპირანტურის მისაღები კონტინენტის გადიდება 1973 წლიდან ფსიქოლოგიის სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ:

ა) შეიმუშაოს და 1972 წლის 1 ივნისამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკის საშუალო სკოლებში



19003

ფსიქოლოგიის სწავლებისა და ფსიქოლოგიური სამსახურის ორგანიზაციის შესახებ;

ბ) გამოუყოს საბაზო სკოლები და საბავშვო ბალები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კათედრებს ექსპერიმენტული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმოებისათვის.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაოს და განხორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას პროფესიული ორიენტაციის, პროფესიული კონსულტაციისა და პროფესიული შერჩევის დარგში, აგრეთვე 1972 წლის 1 მაისამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ფსიქოლოგიური სამსახურის შემოღების შესახებ.

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა (მოწვევა), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ დასაბონ ღონისძიებანი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური კათედრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის და წარმოუდგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 1 მარტისათვის.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოუყოს 1972 წლის პირველ კვარტალში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს ერთი ავტომანქანა „რაფი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიბიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1972 წ. 13 იანვარი, № 14

12 ნაეუშვიბარი ნავთობპროდუქტების შეგროვებისა და გამოყენების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა განახორციელეს ერთგვარი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ნამუშევარი ნავთობპროდუქტებით გაბინძურებული ჩამდინარე წყლის წყალსატევებში გაშვების თავიდან აცილებას. მთელ რიგ საწარმოებში მოწყობილია ნამუშევარი ზეთების რეგენერაციის დანადგარები, ნამუშევარი ნავთობპროდუქტების ნაწილს წვავენ.

მაგრამ მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ საკითხს და დამაკმაყოფილებლად ვერ აწყობენ ნავთობპროდუქტების შეგროვებას, და რეგენერაციას თავიანთ საწარმოებში და ობიექტებზე.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს წყლის დაცვა გაბინძურებისაგან, თავიდან იქნეს აცილებული და აღიკვეთოს ნამუშევარი ნავთობპროდუქტების შემცველი წყლის მავნე ზეგავლენა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ნამუშევარი ნავთობპროდუქტების შეგროვებისა და ჩაბარებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს.
2. ნამუშევარი ნავთობპროდუქტების მიღებისა და მათი გამოყენებისათვის პასუხისმგებლად იქნეს მიჩნეული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველო.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა:

ა) გამოყონ აპარატის, აგრეთვე საქვეუწყებო საწარმოებისა და ობიექტების მუშაკთა რიცხვიდან პირები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ნამუშევარი ნავთობპროდუქტების შეგროვებისა, აღრიცხვისა, შენახვისა და „საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების“ ნავთობბაზებში ჩაბარებისათვის;

ბ) აწარმოონ ნამუშევარი ნავთობპროდუქტების ჩაბარება შესაბამისად „საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების“ მიერ დამტკიცებული ინსტრუქციისა ნამუშევარი სამოტორო, ინდუსტრიული, საკომპრესორო და სხვა ზეთების, აგრეთვე „საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების“ ნავთობბაზებში ნამუშევარი ნათელი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გამოყენების წესის შესახებ და 35—71 დროებითი ტექნიკური პირობებისა „ნამუშევარი ზეთები და ნავთობპროდუქტები“.

4. „საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების“ სამმართველომ არ დაუშვას ავტოსატრანსპორტო, ინდუსტრიული, საეიაციო, საკომპრესორო, სატურბინო და სატრანსფორმატორო ზეთების ფონდების დასაქონლება ისე, თუ მომხმარებლებმა არ ჩააბარეს ნამუშევარი ნავთობპროდუქტები.

გამონაკლის შეადგენენ ის საწარმოები, რომლებსაც აქვთ სარეგენერაციო დანადგარები.

5. „საქმთავარნავთობმომარაგებაგასაღების“ სამმართველომ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ მოაწყონ 1972 წლიდან ბენზინ-

ჩასასხმელ სადგურებსა და ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურებში მოქალაქეთა კუთვნილი ავტომანქანებიდან გადასხმული ნამუშევარი ზეთების შეგროვება.

6. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მებრალიშვილი**.

ქ. თბილისი, 1972 წ. 13 იანვარი, № 15

13 „საპარტვილოს სსრ ტერიტორიაზე უშუალოდ მაგისტრალური საავტომობილო გზების მახლოვლად სოფლების მშენებლობისა და გაფართოების აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ივლისის № 498 დადგენილების შესრულების მიმდინარეობაში მიღწეულია დადებითი შედეგები იმ მხრივ, რომ აღიკვეთოს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობა უშუალოდ საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების მახლოვლად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უშუალოდ მაგისტრალური საავტომობილო გზების მახლოვლად სოფლების მშენებლობისა და გაფართოების აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ივლისის № 498 დადგენილების შესრულების მიმდინარეობაში მიღწეულია დადებითი შედეგები იმ მხრივ, რომ აღიკვეთოს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობა უშუალოდ საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების მახლოვლად.

მარტო 1971 წელს აღრიცხულია 127 შემთხვევა, როდესაც მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მიმართეს საქართველოს სსრ სახმშენს და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ცალკეული მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იმის უფლების მინიჭების საკითხზე, რომ განახორციელონ მშენებლობა მაგისტრალური საავტომობილო გზების გასწვრივ.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ სახმშენისა და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მიერ მოწყობილი შემოწმებით გამოვლინებულია ფაქტები, როდესაც თვითნებურად აშენებენ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებს და საზოგადოებრივ ობიექტებს საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების უშუალო მახლოვლად.

სხვადასხვა ნაგებობათა უკანონო მშენებლობა წარმოებდა ვაგრის რაიონში (12 შემთხვევა), ზუგდიდის (13 შემთხვევა), საგარეჯოს (9 შემთხვევა), სიღნაღის (10 შემთხვევა), გუდაუთის (9 შემთხვევა), ზესტაფონის (7 შემთხვევა) და ორჯონიკიძის (10 შემთხვევა) რაიონებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო არაერთხელ აყენებდა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების წინაშე საკითხს იმის შესახებ, რომ უკანონო ობიექტების მშენებლობა საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური გზების გასწვრივ, ცალკეული რაიონების რაიონული საბჭოს აღმასკომები მაინც არ იღებდნენ ქმედითს ზომებს ამ მშენებლობის თავიდან აცილებისა და შეწყვეტისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ივლისის № 498 და 1969 წლის 17 ივლისის № 423 დადგენილებების განუხრელად შესრულების, აგრეთვე საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ ნაგებობათა მშენებლობაში სათანადო წესრიგის დამყარების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაფრთხილებულ იქნან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რომ მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ობიექტების უკანონო მშენებლობის თითოეული შემთხვევისათვის და დაევალოთ მათ სამათვის ვადაში შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა არსებული დარღვევის ლიკვიდაციას, გამოავლინონ ამ დარღვევებში დამნაშავე პირები და მისცენ ისინი მკაცრ პასუხისმგებაში, თუ საჭიროა კიდევაც გადააყენონ თანამდებობიდან და გადასცენ სასამართლო ორგანოებს.

2. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს ინსტრუქტაჟი გაუწიონ სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და რაიონების სხვა პასუხისმგებელ მუშაკებს საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ მშენებლობის წესის შესახებ.

3. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც ეწევიან მშენებლობას საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების გასწვრივ, აგრეთვე ყველა საპროექტო ორგანიზაციამ, რომლებიც აპროექტებენ ობიექტების მშენებლობას საავტომობილო გზების გასწვრივ, მტკიცედ დაიცვან საქართველოს სსრ მთავრობის მიერ ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე დაპროექტებისა და მშენებლობის ნორმები.

4. საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად განიხილონ და გადაწყვიტონ საავტომობილო გზების გასწვრივ მდებარე შეჩერებული მშენებლობების საკითხი.

5. საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა დროზე გამოავლინონ საავტომობილო გზების გასწვრივ უკანონო მშენებლობის ფაქტები და თპერატიულად მიიღონ საჭირო ზომები მისი აღკვეთისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1972 წ. 21 იანვარი, № 28

14 **ზოგდანოვკის სამკარვლო ფაბრიკისათვის საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის სახელის მიკუთვნების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს ზოგდანოვკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და მიეკუთვნოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ზოგდანოვკის სამკერვალო ფაბრიკას საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1972 წ. 21 იანვარი, № 30

15 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 სექტემბრის № 678 დადგენილებაზე დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებაზე დაკავშირებით ქალაქაბარგულად ცნობის შესახებ**

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ქალაქაბარგულად ცნობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 სექტემბრის № 678 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს უზრუნველყოფონ მიწის ნაკვეთების გამოყოფა მაგისტრალური მილსადენების მშენებლობისათვის იმ დროიდან არა უმეტეს ორი თვის ვადისა, რაც გაზის მრეწველობის სამინისტროს სისტემის ორგანიზაციები აღძრავენ სათანადოდ გაფორმებულ შუამდგომლობებს, იმ პირობით, რომ წინასწარ იქნეს შეთანხმებული ობიექტის ადგილმდებარეობა.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21 სექტემბრის № 678 დადგენილებით ძალადაკარგულად ცნობილია:

ა) პუნქტი 18 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 26 აპრილის № 808 დადგენილებისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრისათვის ზოგიერთი მიმდინარე საკითხის გადაწყვეტის გადაცემის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 460 განკარგულებასთან ერთად;

ბ) პუნქტი 7 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 308 დადგენილებასთან ერთად და პუნქტები 58 და 60 ამ დადგენილების დანართისა „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად გადასაცემი საკითხები“;

გ) პუნქტი 23 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 აგვისტოს № 1041 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ზოგიერთი საკითხის დამატებით გადაცემის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 26 ოქტომბრის № 1693 განკარგულებასთან ერთად“;

დ) „სატყეო მეურნეობის გაძღოლის ზოგიერთი საკითხის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 23 მაისის № 442 დადგენილების 1 პუნქტის ქვეპუნქტი „ვ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიუვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიანი**.

დ ა მ ტ კ ი ვ ე ბ უ ლ ი ა
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1972 წლის 31 იანვრის № 44
 დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებიც ძალადა-
 კარგულად ითვლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 21
 სექტემბრის № 678 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 15 ნოემბრის № 1487 დადგენილება „იმ აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინარი ექიმებისა და მიწათმომწყოების საყოფაცხოვრებო მოწყობის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობაში და ცხოვრობენ სოფლად“.

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1946 წლის 10 იანვრის № 16 დადგენილება „წყალთა მეურნეობის იმ ინჟინრებისა და ტექნიკოსების საყოფაცხოვრებო მოწყობის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მუშაობენ საქართველოს სსრ მიწსახკომის, ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატის და წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემაში და ცხოვრობენ სოფლად“.

3. მე-9 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 2 სექტემბრის № 953 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ზე-ტყის მრეწველობის სამინისტროს ზე-ტყის დამზადების მექანიზაციის, ახალი ტყის მასივების ათვისებისა და მუშათა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების შესანარჩუნებლად საჭირო პირობების შექმნის შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 28 ოქტომბრის № 1224 დადგენილება „დაწყებით, შეიღწლიან და საშუალო სკოლებთან მიწის ნაკვეთების შესახებ“.

5. პუნქტი 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 მარტის № 156 დადგენილებისა „დაწყებითი და რვაწლიანი სკოლების მასწავლებელთა შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 6 ივლისის № 714 დადგენილება „საბავშვო სახლებთან მიწის ნაკვეთების შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 8 თებერვლის № 43 განკარგულება.

8. პუნქტი 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 26 მარტის № 280 დადგენილებისა „მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტიური და ინდივიდუალური მებოსტნეობისა და მებაღეობის შესახებ“.

9. პუნქტი 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 2 იანვრის № 3 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკების, ღვინის ქარხნებისა და ამ ფაბრიკებისა და ქარხნების მშენებლობების მუშათა და მოსამსახურეთა სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ“.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 3 აპრილის № 361 დადგენილება „მუშათა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 27 აგვისტოს № 802 დადგენილება „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 22 ივნისის № 1240 დადგენილების დაგზავნის შესახებ“.

12. პუნქტი 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 27 აგვისტოს № 803 დადგენილებისა „სასოფლო-სამეურნეო წარმოების გასაფართოებლად სპეციალური დანიშნულების მიწების გამოყენების შესახებ“.

13. პუნქტი 3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ივნისის № 453 დადგენილებისა „მაგისტრალური მილსადენებისათვის მიწების გამოყოფის ნორმების შესახებ“.

14. „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში ტორფის მოპოვების განვითარებისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 25 იანვრის № 70 დადგენილების მე-3 პუნქტის ქვეპუნქტი „დ“.

15. პუნქტი 3 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 846 დადგენილებისა „რკინიგზისა და საავტომობილო გზებისათვის, ამოსაშრობი და სარწყავი არხებისა და სხვა სახაზო ნაგებობებისათვის მიწების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ“.

16. „მიწების სახელმწიფო აღრიცხვისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მათი გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 25 ოქტომბრის № 736 დადგენილების მე-3 პუნქტი და მე-4 პუნქტის ქვეპუნქტი „გ“.

16 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 იანვრის № 5 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„სანადირო გლუველულიანი თოფების და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალის შექმნის, შენახვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 8 იანვრის № 5 დადგენილების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს სიტყვების „იმ პირებს, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი, არიან საქართველოს მონადირეთა კავშირის და ამ საზოგადოების წევრები“ შემდეგ დამატოს სიტყვები: „აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს“ და შემდეგ როგორც ტექსტშია:

დამატოს აგრეთვე შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც გლუველულიანი თოფები აქვთ, ერთი თვის ვადაში გაატარონ ისინი რეგისტრაციაში მილიციის ორგანოებში“.

ამასთან დაკავშირებით მე-3 პუნქტის ქვეპუნქტი „ა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაწესდეს, რომ:

ა) სანადირო გლუველულიანი თოფები და მათთვის საჭირო საბრძოლო მასალა მიეყიდება მხოლოდ საქართველოს მონადირეთა კავშირის „მონკავშირის“ და სამხედრო-სანადირო საზოგადოების მალაზიების მეშვეობით იმ პირებს, რომლებსაც შეუსრულდათ 18 წელი, არიან საქართველოს სსრ მონადირეთა კავშირის და ამ საზოგადოების წევრები, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ იარაღის შექმნის ნებართვა მილიციის ორგანოებისაგან ან სამხედრო ნაწილის სარდლობისაგან.

დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც გლუველულიანი თოფები აქვთ, ერთი თვის ვადაში გაატარონ ისინი რეგისტრაციაში მილიციის ორგანოებში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

17 საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების — მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების — მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის „მონკავშირის“ წესდება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 ივლისის № 462 დადგენილება „საქართველოს სსრ ნებაყოფლობითი საზოგადოების — მონადირეთა კავშირის „მონკავშირის“ წესდების დამტკიცების შესახებ“, ცვლილებებით, რაც შეტანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ივლისის № 446 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიჭიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 5 თებერვალი, № 57

დამტკიცებულია
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1972 წლის 5 თებერვლის № 57
 დადგენილებით

წესდება

ნებაყოფლობითი საზოგადოების — საქართველოს მონადირეთა
 და მეთევზეთა კავშირის „მონაკავშირის“

I

ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირი, რომელსაც შემოკლებით „მონაკავშირი“ ეწოდება, წარმოადგენს ნებაყოფლობითს მასობრივ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს და ხელშეწყობს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებებს და მოქმედებს ამ წესდებით.

2. „მონაკავშირი“ და მასში გაერთიანებული საზოგადოებანი ამოცანად ისახავენ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სამონადირეო და სათევზაო მეურნეობის ჯონივრულად გაძლიერებასა და სამონადირეო ფაუნის კვლავწარმოების მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე ყოველმხრივ განავითარონ სამონადირეო და სათევზაო სპორტი, როგორც ჯანმრთელი და ამტანი მოქალაქეების აღზრდის საშუალება, რომლებიც მზად იქნებიან შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის.

3. „მონაკავშირისა“ და მისი ორგანიზაციების წინაშე დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირი:

ა) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სანადირო და სათევზაო ფაუნის შენარჩუნების, მოწინააღმდეგის, კვლავწარმოებისა და გამდიდრების მიზნით აწყობს სამონადირეო და სათევზაო მეურნეობებს, აგრეთვე სანადირო და სათევზაო ბაზებს და დამხმარე მეურნეობებს;

ბ) საქართველოს სსრ მოსახლეობაში ეწევა სამონადირეო-სასროლო და სათევზაო სპორტის პროპაგანდას და ხელს უწყობს მის ფართოდ განვითარებას;

გ) აერთიანებს კავშირის წევრებს პირველადს ორგანიზაციებში, და მათ შორის ეწევა სისტემატურ მუშაობას სამონადირეო და სათევზაო მეურნეობისა და სპორტის განვითარებისათვის;

დ) აწყობს მეცადინეობებს, მოხსენებებს, ლექციებს ნადირობის, სპორტული თევზჭერის, სანადირო და სათევზაო მეურნეობის განვითარების საკითხებზე, აგრეთვე სკოლებსა და კურსებს ეგერების, სამონადირეო და სათევზაო სპორტის ინსტრუქტორების, მესტენდე მსროლელების, სასტენდო და სათევზაო სპორტის მსაჯებისა და მეძალღეობის ექსპერტ-მსაჯების მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აქვს მუზეუმი, კლუბები, ბიბლიოთეკები და მონადირეთა და მეთევზეთა კუთხეები;

ე) აშენებს, იძენს, განასხვისებს და ქირობს სხვადასხვა სამონადირეო, სათევზაო და სასპორტო ინვენტარის დამამზადებელ და შემკეთებელ საწარმოთა ნაგებობებს;

ვ) ახორციელებს მონადირეთა და სხვათა მომარაგებას საჭირო სანადირო, სათევზაო და სხვა სასპორტო ინვენტარითა და მოწყობილობით და ზოოლოგიური საქონლით, რისთვისაც ხსნის ბაზებსა და მალაზიებს გასასაღებლად;

ზ) აწყობს დამზადების პუნქტებს ნადირობისა და მეთევზეობის პროდუქციის დასამზადებლად, ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბეწვეულისა და ნადირობის სხვა პროდუქციის დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულებას;

თ) აწყობს სანადირო ძაღლების საგეშ პუნქტებს, გამოფენებს, საცელე გამოცდებსა და შეჯიბრებებს, აწარმოებს სანადირო ძაღლების რესპუბლიკურ საჯიშე წიგნს;

ი) ეწევა მუშაობას მანვე მტაცებელ ნადირ-ფრინველის რაოდენობის რეგულირებისათვის;

კ) აწარმოებს ნადირობისა და თევზჭერის ვადებისა და წესების დაცვის პროპაგანდას და ეწევა ბრძოლას ამ წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ხელფასიანი ინსპექტორებისა და საზოგადოების წევრების მეშვეობით;

ლ) აწყობს სასპორტო სტენდებს და ატარებს შეჯიბრებებს სანადირო და სათევზაო სპორტში, სასტენდო და სატირო სროლაში. აწარმოებს საზოგადოების წევრთა მომზადებას სპორტულ სათანრიგო ნორმების ჩასაბარებლად. სპორტულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში, რომლებსაც აწყობენ ფიზკულტურული და სხვა ორგანიზაციები, მონაწილეობას იღებს მხოლოდ „მონკავშირის“ სახელით, აძლევს დიპლომებს, ჯილდოებს, ანიჭებს და სათანადო ორგანიზაციებს წარუდგენს სანადირო და სათევზაო სპორტის საუკეთესო სპორტსმენებს სპორტული თანრიგის მისანიჭებლად და სხვა;

მ) გამოსცემს გაზეთს, ჟურნალებს, ბიულეტენებს, ცნობარებს, მეთოდურ სახელმძღვანელოებს და სხვა ლიტერატურას სამონადირეო და სათევზაო მეურნეობისა და სპორტის საკითხებზე;

ნ) სამონადირეო-სამეურნეო და სპორტულ ღონისძიებათა გასატარებლად მატერიალური ბაზის შექმნის მიზნით აწყობს სანადირო-სასროლო მასალის, მონადირის და მეთევზის დანების, ვაზნების, სამიზნე თევშების, პოლიეთილენის საცობების, სათევზაო და საოჯახო კაპრონის ჩანთების, სათევზაო კაპრონის ძაფების, მავთულბადის, კავკასიური ნაბდების, ფალასკების, ძაღლის საყელურების, ზურგჩანთების, თოფის შალითების, პაჭიჭების, რეზინის ჩუნების (ძველი ნახშიარი კირხის ზედაპირად და ხმარებიდან გამოსული ავტოსაბურავების საძირედ გამოყენებით), ბამბუკისაგან თხილამურის ჯოხებისა და სათევზაო ხელსაწყოების, მაგარი ჯიშის ხის ნარჩენებისაგან თოფის საკონდახეებისა და ხელის იარაღების (ნაჯახის, ჩაქურის, ქლიბის და სხვა) ტარების დასამზადებელ საწარმოებს, სანადირო და სპორტული იარაღების შემკეთებელ სახელოსნოებს, საბილიარდოებს, პნევმატურ ტირებს და საამკინძაო საამქროებს, რომლითაც მომსახურებას უწევს როგორც მონადირეებს, ისე მოსახლეობას;

ო) აშხადებს კადრებს სამონადირეო და სათევზაო მეურნეობისათვის, ნადირთ და თევზმოშენების, მეძაღლეობისა და სასროლო სპორტისათვის;

პ) კონტროლსა და ინსტრუქტაჟს უწევს თავისი იურიდიული წევრების საქმიანობას.

4. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონულ საზოგადოებებს და მათში შემავალ სამეურნეო ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირს, უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით შეიძინონ, განასხვიონ და იჯარით აიღონ ქონება, გახსნან და დახურონ ანგარიშები სსრ კავშირის საკრედიტო დაწესებულებებში, დადონ ხელშეკრულებები და შეთანხმებები, გასცენ მინდობილობანი, იძიონ და პასუხი აგონ სასამართლოში და სახელმწიფო არბიტრაჟში.

5. კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები წარმოებს ღია კენჭისყრით.

6. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს „მონკავშირს“ აქვს ალამი, ემბლემა და მრგვალი ბეჭედი, ხოლო საზოგადოებებს — მრგვალი ბეჭედი.

II

მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების წევრები და მათი უფლება-მოვალეობანი

7. მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, ხოლო მოხალისე თევზმჭერთა სექციის წევრი 16 წლის ასაკიდან.

შენიშვნა: 1. მოხალისე თევზმჭერთა ხელმძღვანელობისათვის „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმთან, აგრეთვე მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობასთან ყალიბდება მოხალისე თევზმჭერთა სექცია.

2. მოხალისე თევზმჭერთა სექცია ხელმძღვანელობს „მონკავშირის“ გამგეობის მიერ დამტკიცებული დებულებით.

8. მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრად მიღება ხდება ინდივიდუალური წესით, მონადირეთა და მეთევზეთა პირველადი კოლექტივის ან საზოგადოების გამგეობებთან არსებული მიმღები კომისიის მიერ სავალდებულო სამონადირეო და სათევზაო ცოდნის მინიმუმის შემოწმებისა და მისი რეკომენდაციის შემდეგ.

9. ის პირი, რომელიც ახლადმიღებული იქნება მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრად, იხდის შესასვლელს და საწევროს „მონკავშირის“ ყრილობის მიერ დაწესებული ოდენობით.

10. მონკავშირის წესდების და ნადირობის (თევზაობის) წესების დამრღვევ მონადირეთა და მეთევზეთა მიმართ, დარღვევის ხასიათის მიხედვით შეიძლება მიღებულ იქნას შემდეგი ზომები: გაფრთხილება, საზოგადოებრივი გაკიცხვა, საყვედური, სასტიკი საყვედური და კავშირის წევრობიდან გარიცხვა.

11. მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების აქტიურ წევრებს მათი წახალისების მიზნით შეიძლება გამოეცხადოთ მადლობა, დაჯილდოებული იქნენ სიგელებით, პრიზებით, ფასიანი ჯილდოებით და მიენიჭოთ „საპატიო მონადირის“ წოდება.

12. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრები სარგებლობენ დადგენილი ნიმუშის სანადირო და მოხალისე მეთევზის ბილეთით, რომელსაც ძალა აქვს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

13. მონადირეთა და მეთევზეთა კავშირიდან წევრის გარიცხვა ხდება პირველადი კოლექტივის საერთო კრების გადაწყვეტილებით და საზოგადოების გამგეობის დადგენილებით, ხოლო სადაც პირველადი კოლექტივი არ არის, სათანადო მონადირეთა საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით, კავშირის ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების უფლებით.

14. ის მონადირეები და მოხალისე მეთევზეები, რომლებიც არასაპატიო მიზეზით არ გადაიხდიან საწევრო გადასახადს მისთვის დაწესებული რეგისტრაციის ვადის გასვლიდან ერთი წლის განმავლობაში, ჩაითვლებიან მექანიკურად გასულად. საზოგადოებიდან გასული წევრი მოვალეა გაფრთხილების თანავე დაუყოვნებლივ ჩააბაროს სანადირო თოფები „მონაკავშირის“ მალაზიას საკომისიო წესით რელიზაციისათვის, სანადირო თოფების ნებაყოფლობით ჩაუბარებლობის შემთხვევაში თოფების ჩამორთმევა მოხდება მილიციის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით. ჩამორთმეული თოფები რელიზაციისათვის გადაეცემა „მონაკავშირის“ მალაზიებს და ამოღებული თანხა, საკომისიო გასამრჯელოს გამოკლებით, მიეცემა თოფის ყოფილ მფლობელს.

15. მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებებიდან გარიცხულ, მექანიკურად გასულ და აგრეთვე ნებაყოფლობით გასულ პირებს საწევრო შენატანები არ უბრუნდებათ.

16. მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრებს უფლება აქვთ:

ა) აირჩიონ და არჩეულ იქნენ „მონაკავშირის“ ყველა ხელმძღვანელ ორგანოში;

ბ) ისარგებლონ მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის მიერ დადგენილი წესებით, სანადირო და სათევზაო მეურნეობებით, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით, აგრეთვე „მონაკავშირის“ სისტემის დამამზადებელი და შემკეთებელი სახელოსნოებით;

გ) მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებებში, გამოფენებში, კონკურსებზე და სხვა ღონისძიებებში, რომლებსაც ატარებს „მონაკავშირი“ და მასში შემავალი მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებები.

17. მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრები ვალდებული არიან:

ა) გასწიონ მოსახლეობაში მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების პროპაგანდა;

ბ) ამ წესდებით გათვალისწინებული ამოცანების განსახორციელებლად აქტიური მონაწილეობა მიიღონ კავშირის მუშაობაში;

გ) დაიცვან ნადირობისა და თევზაობის წესები და ვადები;

დ) ბრაკონიერების წინააღმდეგ აწარმოონ აქტიური ბრძოლა;

ე) მიიღონ საჭირო ზომები მანვე მტაცებელ ნადირ-ფრინველის რაოდენობის, რეგულირებისათვის;

ვ) აქტიური მონაწილეობა მიიღონ გეგმით გათვალისწინებული ბეწვეულის ჩაბარების საქმეში და იბრძოლონ მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

ზ) საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის გამოცვლის შემთხვევაში თავის დროზე მოეხსნან აღრიცხვიდან და ახალ ადგილზე მისვლის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა გატარდნენ აღრიცხვაზე სათანადო მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობაში;

თ) თავის დროზე გადაიხადონ საწევრო გადასახადი და აგრეთვე რეგისტრაციაში გაატარონ სანადირო თოფი, სანადირო დანა, ხანჯალი და სანადირო ძაღლი;

ი) წარუდგინოს სანადირო და მოხალისე მეთევზის ბილეთი იმ პირთ, რომლებსაც დაქირებული აქვთ სამონადირეო და სათევზაო მეურნეობის გაძღოლისადმი კონტროლი და ზედამხედველობა. მონადირეთა და მოხალისე მეთევზეთა ბილეთების ურთიერთ მოთხოვნის შემთხვევაში ბილეთის წარდგენა სავალდებულოა ყველა მონადირისა და მოხალისე მეთევზისათვის.

III

მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის იურიდიული წყვეტა

18. საზოგადოების იურიდიულ წევრად შეიძლება იყოს რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის და ასს რესპუბლიკების მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებები.

19. მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის შემადგენლობაში ახალი იურიდიული პირის წევრად მიღების საკითხს განიხილავს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი და წარუდგენს გამგეობას დასამტკიცებლად, რომელიც თავის გადაწყვეტილებას მოახსენებს ყრილობას.

20. რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის და ასს რესპუბლიკების მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებებს, რომლებიც შედიან „მონკავშირის“ იურიდიულ წევრებად, საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმში შეაქვთ წერილობითი განცხადება, რომელსაც თან ერთვის საზოგადოების წევრთა საერთო კრების ან კონფერენციის დადგენილება ამ საკითხზე.

21. მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებებს, რომლებიც „მონკავშირში“ შედიან, შეაქვთ შესასვლელი შენატანები და სპეციალური ანარიცხები, რომელთა რაოდენობას განსაზღვრავს საზოგადოების რესპუბლიკური ყრილობა.

22. „მონკავშირის“ იურიდიული წევრები მოვალენი არიან:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღონ და ფართოდ ჩააბან მონადირეები და მეთევზეები იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომლებსაც „მონკავშირი“ აწყობს წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად;

ბ) მტკიცედ დაიცვან „მონკავშირის“ წესდება, დროულად შეასრულონ მისი გამგეობის დადგენილებანი, მითითებანი და დავალებანი;

გ) წარუდგინონ „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმს, მის მიერ დადგენილი წესებისა და ვადების მიხედვით, ანგარიში თავიანთი საქმიანობის შესახებ, აგრეთვე საქირო ცნობები და მასალები;

დ) დაუბრკოლებლად დაუშვან „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმის მიერ დანიშნული რწმუნებულები მათი მეურნეობებისა და საწარმოების საქმიანობის შესამოწმებლად და კონტროლისათვის;

ე) დროულად აცნობონ „მონკავშირის“ პრეზიდიუმს მათი გამგეობის შემადგენლობაში მომხდარი ყველა ცვლილება;

ვ) წინასწარ აცნობონ „მონკავშირის“ პრეზიდიუმს იმ კრებების ან კონფერენციების მოწვევის შესახებ, რომელზეც განიხილება საზოგადოების გამგეობის გადარჩევის საკითხი.

23. „მონკავშირის“ იურიდიული წევრები მოქმედებენ ამ წესდების საფუძველზე და უფლება აქვთ:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღონ „მონკავშირის“ საქმიანობაში;

ბ) მიიღონ „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმისაგან კონსულტაცია, ფინანსური, იურიდიული, მატერიალური და სხვა დახმარება სამონადირეო მეურნეობისა და სარეწების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის და სამონადირეო საქმესთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებათა განახორციელებლად;

გ) თავიანთი წევრების მომარაგების მიზნით შეიძინონ „მონკავშირისაგან“ სანადირო თოფები, სანადირო ტყვია-წამალი, საჭურველი, ნადირობისა და თევზაობის მოწყობილობა და მასალები და სხვა სპორტული საქონელი;

დ) თავიანთი წევრების უკეთ მომსახურების მიზნით სანადირო და სათევზაო სპორტ-ინვენტარი და მოწყობილობა შეიძინონ აგრეთვე სხვა ორგანიზაციებშიაც;

ე) გამოიყენონ „მონკავშირის“ ძალსაგემი პუნქტი ჯიშინი ძაღლების დასაგეშად;

ვ) გამოიტანონ დადგენილებები და შეიტანონ „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმში განსახილველად მთლიანად რესპუბლიკაში და აგრეთვე ცალკეულ სამონადირეო და მეთევზეთა მეურნეობებში სანადირო და სათევზაო საქმის გაუმჯობესების საკითხები.

IV

მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის ორგანიზაცია

1. მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის რესპუბლიკური ყრილობა

24. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის „მონკავშირის“ უმაღლეს ორგანოს წარმომადგენს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრთა ყრილობა, რომელიც იწვევა ხუთ წელიწადში ერთხელ. ყრილობის დელეგატებს ირჩევენ ღია კენჭისყრით რაიონის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის და ასს რესპუბლიკების მონადირეთა და მეთევზეთა კონფერენციებზე (კრებებზე).



ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების ნორმებს აწესებს „მონკავშირის“ გამგეობა.

25. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის რესპუბლიკური ყრილობები შეიძლება იყოს:

მორიგი ან საგანგებო, რომლებსაც იწვევენ „მონკავშირის“ გამგეობის გადაწყვეტილებით, სარევიზიო კომისიის მოთხოვნით, ან „მონკავშირის“ წევრთა განცხადებით, რომლებიც წარმოადგენენ „მონკავშირში“ გაერთიანებულ მონადირეთა და მეთევზეთა საერთო რიცხვის არანაკლებ ერთი მესამედისა.

26. „მონკავშირის“ რესპუბლიკური ყრილობა:

ა) განსაზღვრავს შესასვლელ, საწევრო და სხვა შესატანების ოდენობას, როგორც თავისი იურიდიული წევრებისათვის, ისე პირველადი ორგანიზაციების წევრი მონადირეებისა და მეთევზეებისათვის;

ბ) განიხილავს და შეფასებას აძლევს გამგეობის მუშაობას, ამტკიცებს სარევიზიო კომისიის მოხსენებას, ადგენს და ამტკიცებს გამგეობის პრეზიდიუმისათვის მიცემულ განაწესს და განსაზღვრავს „მონკავშირის“ შემდგომი მუშაობის მიმართულებას;

გ) ანაწილებს მოგებას და ზარალის შემთხვევაში ადგენს მისი დაფარვის წყაროებს;

დ) აწესებს გამგეობის, სარევიზიო კომისიისა და ამხანაგური სასამართლოს წევრთა რიცხვს, ირჩევს მათ შემადგენლობას და, საჭიროების შემთხვევაში, განიხილავს საკითხს ვადამდე მათი გადაყენების შესახებ;

ე) ამტკიცებს „მონკავშირის“ გამგეობის მიერ მიღებულ იურიდიულ წევრთა სიას;

ვ) განიხილავს და წყვეტს „მონკავშირისა“ და მისი იურიდიული წევრი საზოგადოებების ლიკვიდაციის საკითხებს;

ზ) ამტკიცებს „მონკავშირის“ წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებანი.

აგრეთვე ამტკიცებს დებულებას ამხანაგური სასამართლოების შესახებ.

27. „მონკავშირის“ იურიდიულ წევრებს წინასწარ ეგზავნებათ ცნობა მონადირეთა და მეთევზეთა რესპუბლიკური ყრილობის მოწვევის შესახებ, რომლებშიც აღინიშნება ყრილობის მიერ განსახილველი საკითხები.

ცნობა უნდა გაიგზავნოს ერთი თვით ადრე, მორიგი ყრილობის მოწვევამდე და 14 დღით ადრე, საგანგებო ყრილობის მოწვევამდე.

28. მონადირეთა და მეთევზეთა რესპუბლიკური ყრილობა ითვლება უფლებამოსილად, თუ მას ესწრება დელეგატთა არანაკლებ ორი მესამედისა.

ყრილობაზე საკითხების გადაწყვეტა ხდება ხმების უბრალო უმრავლესობით.

იმ შემთხვევაში, თუ ყრილობაზე მოვა დელეგატთა ორ მესამედზე ნაკლები, ყრილობა გადაიდება და მისი მოწვევა უნდა მოხდეს ხელმეორედ არა უადრეს ორი კვირისა.

2. „მონკავშირის“ გამგეობა

29. ყრილობიდან ყრილობამდე „მონკავშირის“ საქმეთა საწარმოებლად რესპუბლიკური ყრილობა ირჩევს „მონკავშირის“ გამგეობას 45-55 კაცის შე-

მადგენლობით. „მონკავშირის“ გამგეობა ყრილობებს შორის პერიოდში წარმოადგენს კავშირის უმაღლეს ორგანოს.

30. მონკავშირის გამგეობა:

ა) განიხილავს საკითხებს კავშირის წესდების შეცვლისა და დამატების შესახებ, გამოაქვს ეს საკითხები „მონკავშირის“ რესპუბლიკური ყრილობის განსახილველად და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად.

ბ) ამტკიცებს კავშირის მმართველობის აპარატის სტრუქტურას, წლიურ საფინანსო გეგმას, მათი შესრულების ანგარიშს და კავშირის წაერთ ბალანსს;

გ) აწარმოებს „მონკავშირის“ წევრ-საზოგადოებათა მიღებასა და გარიცხვას და აგრეთვე მათს ლიკვიდაციას;

დ) განიხილავს სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც შეაქვს გამგეობის პრეზიდიუმს;

ე) გამგეობის პლენუმის მოწვევა ხდება წლიწინადად ორჯერ მინც.

გამგეობის რიგგარეშე პლენუმი შეიძლება მოწვეული იქნეს გამგეობის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ან სარევიზო კომისიის მოთხოვნით. გამგეობის პლენუმი უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა ორი მესამედი.

პლენუმის განსახილველი ყველა საკითხი წყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

31. „მონკავშირის“ საქმიანობის პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის გამგეობის პლენუმი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს პრეზიდიუმს 11 კაცის რაოდენობით, რომელშიც შედიან თავმჯდომარე, მისი მოადგილეები და პრეზიდიუმის წევრები, აგრეთვე ამტკიცებს იმ სექციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც ყალიბდება „მონკავშირის“ გამგეობასთან.

3. „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმი

32. „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმი წარმოადგენს გამგეობის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ახორციელებს საზოგადოების ყრილობისა და გამგეობის პლენუმის დადგენილებებს, და ამავე დროს წარმოადგენს არბიტრს სოციალისტური შეჯიბრებების შედეგებისა და საზოგადოებებს შორის წამოჭრილ სადავო საკითხების გადაწყვეტაში.

33. „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმი:

ა) ამტკიცებს დებულებას და ინსტრუქციებს, რომლებიც აწესრიგებენ კავშირში შემავალი ყველა ორგანიზაციისა და საწარმოს საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს „მონკავშირის“ სანადირო და სათევზაო სავარგულების ორგანიზაციის სისტემას და მათი სარგებლობის წესს, შტატებსა და ხელფასის ფონდს, მუშაობის გეგმასა და ხარჯთაღრიცხვას;

გ) ამტკიცებს კავშირში შემავალი ყველა ორგანიზაციის სამეურნეო ანგარიშებს, შტატებს, გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებს და ბალანსებს;

დ) ამტკიცებს დებულებებს კონკურსების, შეჯიბრებებისა და საერთო ხასიათის სასწავლო-სასპორტო ღონისძიებების შესახებ „მონკავშირის“ ყველა ორგანიზაციისათვის;

ე) განაგებს „მონკავშირის“ ყველა საქმეს და არის მისი წარმომადგენელი გამგეობის თავმჯდომარის ან მისი მოადგილეების სახით დაწესებულებებთან ან კერძო პირებთან ურთიერთობაში;

ვ) ეწევა „მონკავშირში“ გაერთიანებული რაიონების, ქალაქების, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური სს რესპუბლიკების მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების წევრ მონადირეთა და მეთევზეთა, სანადირო იარაღისა და სანადირო ძაღლების აღრიცხვას;

ზ) იღებს, ინახავს და გასცემს „მონკავშირის“ კუთვნილ ან მისთვის მინდობილ ფასეულობებს და სხვა ქონებას;

თ) ამ წესდების საფუძველზე იძენს, იჯარით იღებს და განასხვინებს ქონებას, იღებს სესხებს, იძლევა მინდობილობებს, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს ვადიან ვალდებულებებს, იძიებს და პასუხს აგებს სასამართლოსა და სახარბიტრაჟოში.

34. „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმი ფართოდ აბამს თავის მუშაობაში მონადირეთა და მეთევზეთა აქტივს, ამ მიზნით გამგეობის პრეზიდიუმთან ყალიბდება დარგობრივი სექციები: კინოლოგიური (სანადირო მეძაღლეობისა), სასროლო-სასტენდო, შავენ მტაცებელ ცხოველებთან ბრძოლის, კულტურულ-საგანმანათლებლო, მეთევზეობის, ფაუნის დაცვის და სხვა.

სექციები მუშაობენ გამგეობის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულებებისა და გეგმების საფუძველზე და მისი ხელმძღვანელობით.

35. გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის 7 წევრი მაინც.

გამგეობის პრეზიდიუმის სხდომები იწვევა თვეში ერთხელ მაინც.

სხდომაზე საკითხები წყდება ხმების უბრალო უმრავლესობით. თუ პრეზიდიუმის წევრი არ ეთანხმება უმრავლესობის დადგენილებას, მისი აზრი თავისი მოთხოვნით შეტანილ უნდა იქნეს ოქმში.

4. სარევიზიო კომისია

36. „მონკავშირის“ და სათანადო საზოგადოებათა გამგეობების მუშაობის შესამოწმებლად, ყრილობა, კონფერენცია (კრება) ირჩევს სარევიზიო კომისიას 3—7 კაცის შემადგენლობით.

სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს.

სარევიზიო კომისია თავის მუშაობაზე პასუხს აგებს ყრილობის, კონფერენციის (კრების) წინაშე და ანგარიშს აბარებს მას.

37. სარევიზიო კომისია:

ა) ამოწმებს საზოგადოების შესაბამისი გამგეობის (პრეზიდიუმის) მთელ სამეურნეო, საფინანსო და სამონადირეო საქმიანობას;

ბ) აწარმოებს „მონკავშირის“ ყველა საწარმოს, სახელოსნოს, საწყობის, მაღაზიისა და სხვა სამეურნეო ერთეულის დოკუმენტურ რევიზიას;

გ) ამოწმებს „მონკავშირის“ ყრილობის, საზოგადოებათა კონფერენციების (კრებების) დადგენილებათა შესრულებას.

38. სარევიზიო კომისიის წევრები ესწრებიან შესაბამისი გამგეობის (პრეზიდენტის) სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.

39. სარევიზიო კომისია, საჭიროების მიხედვით მართავს სხდომებს, თავის დადგენილებებს აცნობს გამგეობას (პრეზიდენტს).

40. თუ გამგეობა (პრეზიდენტი) სარევიზიო კომისიის დადგენილებას მიღების დღიდან ორი დეკადის ვადაში არ განიხილავს, — დადგენილება ითვლება მიღებულად სავალდებულო შესრულებისათვის.

41. საჭიროების შემთხვევაში სარევიზიო კომისია თავის დადგენილებებს და შემოწმების მასალებს წარუდგენს ყრილობას (კონფერენციას, კრებას), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ან შესაბამის ზემდგომ ორგანოებს.

42. იმ შემთხვევაში, თუ სარევიზიო კომისია გამგეობის (პრეზიდენტის) მუშაობაში აღმოაჩენს ბოროტმოქმედებას, დაუყოვნებლივ უნდა მოსთხოვოს გამგეობას საგანგებო ყრილობის, კონფერენციის (კრების) მოწვევა და ამის შესახებ აცნობოს ზემდგომ ორგანოებს.

43. სარევიზიო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ გამგეობის წევრთა ახლო ნათესაები და „მონკავშირის“ აპარატის მუშაკები.

5. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების გამგეობები

44. იმ ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში და რაიონებში, რომლებშიც ითვლება არანაკლებ 100 მონადირისა და მეთევზისა, იქმნება მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებები, რომლებსაც ეწოდება ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოება.

45. ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის (ოლქის), ქალაქის, რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა კონფერენცია (კრება), რომელსაც იწვევენ ხუთ წელიწადში ერთხელ.

46. კონფერენციის (კრების) მოწვევის დროს და კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს აწესებენ შესაბამისი მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების გამგეობები საქართველოს „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდენტთან შეთანხმებით.

47. ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა კონფერენციები (კრებები) ღია კენჭისყრით ირჩევენ მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების შესაბამისი გამგეობებს, სარევიზიო კომისიებს, ამხანაგურ სასამართლოებს და საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ყრილობის დელეგატებს.

48. რეგარეშე კონფერენციის (კრების) მოწვევა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები შეიძლება მოხდეს „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდენტის დადგენილებით, ან აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკის (ოლ-

ქის), ქალაქის და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების გამგეობის ან მის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

49. კონფერენციათა შორის პერიოდში ავტონომიური რესპუბლიკის (ოლქის), სარაიონო, საქალაქო მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებას ხელმძღვანელობს შესაბამისი მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობა, რომელსაც ირჩევენ 9-11 წევრის შემადგენლობით, ხუთი წლის ვადით. მასში შედის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და გამგეობის წევრები;

50. გამგეობის სხდომებს იწვევენ თვეში ერთხელ მაინც და უფლებამოსილად ითვლება, თუ მათ ესწრება წევრთა უმრავლესობა.

51. ავტონომიური რესპუბლიკის (ოლქის), ქალაქის და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობა წარმოადგენს აღმასრულებელ ორგანოს, მისი უფლება-მოვალეობანი წესრიგდება ამ წესდების იმ მუხლებით, რომლებიც განსაზღვრავენ „მონაკვეთრის“ გამგეობის და გამგეობის პრეზიდიუმის უფლება-მოვალეობებს.

6. მონადირეთა და მეთევზეთა პირველადი კოლექტივები

52. მონადირეთა და მეთევზეთა პირველადი კოლექტივები იქმნება სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებთან, თუ იქ არის სულ ცოტა 10 მონადირე და მეთევზე.

53. მონადირეთა და მეთევზეთა კოლექტივის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კოლექტივის წევრთა საერთო კრება, რომელსაც იწვევენ 3 თვეში ერთხელ მაინც.

54. კოლექტივის პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად, თუ მასში 10-მდე წევრია, ირჩევენ რწმუნებულს, თუ 11-დან 30-მდეა, ირჩევენ რწმუნებულს და სარევიზიო კომისიას სამი კაცის შემადგენლობით, თუ წევრთა რიცხვი 31-დან 50-მდეა, ირჩევენ ბიუროს და სარევიზიო კომისიას სამ-სამი კაცის შემადგენლობით; თუ წევრთა რიცხვი 50-ზე მეტია. ირჩევენ ბიუროს 5 კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისიას 3 კაცის შემადგენლობით.

55. ბიუროს (რწმუნებულს) და სარევიზიო კომისიას ირჩევენ ღია კენჭისყრით, ერთი წლის ვადით.

კოლექტივის წევრთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით ან საზოგადოების ზემდგომი ორგანოების დადგენილებით — კოლექტივის ბიურო (რწმუნებული) შეიძლება გადარჩეულ იქნას ვადადე.

56. კოლექტივის ბიურო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივან-ხაზინადარს.

57. მონადირეთა და მეთევზეთა პირველადი კოლექტივი:

ა) აწარმოებს მოქალაქეთა შერჩევას და რეკომენდაციას უწევს მათ მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის წევრად მიღებისათვის, და ატარებს მათთან აღმზრდელობითს მუშაობას;

ბ) აწარმოებს ბრძოლას მონადირეთა და მეთევზეთა შორის ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებისა და ბრაკონიერების წინააღმდეგ;

გ) აქტიურად ზრუნავს სამონადირეო და სათევზაო ფონდის კვლავწარქობისა და დაცვისათვის;

დ) მონაწილეობს მტაცებელ ნადირ-ფრინველთა რეგულირებაში;

ე) კონტროლს უწევს საწევრო ანარიცხების დროულად გადახდას;

ვ) აწყობს სამონადირეო და სათევზაო საქმის შესწავლას, ზრუნავს მონადირეთა და მეთევზეთა კულტურისა და სპორტული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ზ) იზიდავს საზოგადოების წევრებს კოლექტივის საქმიანობაში და უზრუნველყოფს მათ შრომითს მონაწილეობას მიწერილ სამონადირეო მეურნეობის განვითარების, დაცვისა და ბიოტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარების, აგრეთვე მეურნეობის კეთილმოწყობის საქმეში;

თ) ხელმძღვანელობას უწევს თავისი სექციების მუშაობას.

58. მოხალისე თევზმჭერთა სექციის წევრებს ეძლევათ მოხალისე თევზმჭერთა ბილეთი, ბილეთს გასცემს საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირი.

59. მოხალისე თევზმჭერთა სექციის წევრს უფლება აქვს ნებადართული საშუალებებით აწარმოოს თევზჭერა რესპუბლიკის ყველა წყალსატევში, გარდა აკრძალული ადგილებისა.

60. საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირს შეუძლია ცალკეულ მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებას მიამაგროს წყალსატევები თევზის მოსაშენებლად. მოხალისე თევზმჭერებს უფლება აქვთ აწარმოონ თევზჭერა მიწერილ წყალსატევებში ამ მეურნეობის აღმინისტრაციის ნებართვით.

61. მიწერილ წყალსატევებში თევზის მარაგის საგრძნობლად მომრავლებისას, „მონკავშირს“ შეუძლია ნება დართოს აწარმოონ იქ სარეწაო თევზჭერა.

62. მონადირის ბილეთი ცვლის მოხალისე თევზმჭერის ბილეთს.

63. პირველადი კოლექტივების ორგანიზაციული, სამეურნეო-საფინანსო განმტკიცების მიზნით და აგრეთვე მიწერილ მეურნეობებში დაცვითი და ბიოტექნიკურ ღონისძიებათა გატარებისათვის, პირველადს კოლექტივებს შეუძლიათ ზემდგომი საზოგადოების გამგეობის ნებართვით დასარჯონ საწევრო შემოსავალი 50 პროცენტამდე.

64. მონადირეთა და მეთევზეთა კოლექტივებს შეუძლიათ იქონიონ თავიანთი სანადირო და სათევზაო ბაზები, სასროლო სტენდები, მონადირეთა ოთახები და კუთხეები, გამართონ ლექციები, საუბრები, შეჯიბრებანი სანადირო და სათევზაო სპორტში თავიანთი კოლექტივების მასშტაბით, მოაწყონ კოლექტიური და ინდივიდუალური გასვლები სანადიროდ და სათევზაოდ, რისთვისაც შეუძლიათ შეიძინონ სანადირო და სათევზაო ქონება, სანადირო ძაღლები და ავტოტრანსპორტი — იმ შემთხვევაში, თუ მათ გააჩნია სანადირო მეურნეობა.

65. კოლექტივის ბიუროს (რწმუნებულს) აქვს თავისი სამკუთხედი ბეჭედი მისთვის მიკუთვნიებული ნომრით.

7. მონადირეთა ამხანაგური სასამართლოები

66. „მონკავშირის“ წევრ მონადირეთა და მეთევზეთა შორის დისციპლინის განმტკიცების მიზნით, შესაბამის გამგეობებთან არის ამხანაგური სასამართლოები, რომლებსაც 5—7 წევრის შემადგენლობით ირჩევს ყრილობა (კონფერენცია, კრება) ღია კენჭისყრით და რომლებიც მუშაობენ „მონკავშირის“ ყრილობის მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით, და ანგარიშს აბარებენ ყრილობას (კონფერენციას, კრებას). სასამართლო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს. მონადირეთა და მეთევზეთა ამხანაგური სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს შესაბამისი გამგეობის წევრი.

V

„მონკავშირის“ სახსრები

67. საქართველოს „მონკავშირის“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების სახსრების წყაროს წარმოადგენს;

- ა) წევრთა შესასვლელი შენატანები;
- ბ) საწევრო ანარიცხები;
- გ) მოგება სამეურნეო საქმიანობისაგან.

68. „მონკავშირის“ და საზოგადოებათა სახსრები იყოფა შემდეგ ფონდებად:

- ა) ძირითადი ფონდი;
- ბ) სათადარიგო ფონდი;
- გ) სპეციალური ფონდი;
- დ) კულტურული ფონდი;
- ე) კადრების მომზადების ფონდი;
- ვ) საპრემიო ფონდი;
- ზ) ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდი;

69. ძირითადი ფონდი შედგება „მონკავშირის“ წევრთა შესასვლელი შენატანებისაგან და მოგების ყოველწლიური ანარიცხებისაგან.

70. სათადარიგო ფონდი იქმნება წმინდა მოგებისაგან და მისი დანიშნულებაა „მონკავშირის“ ოპერაციების შედეგად მიღებული შესაძლო ზარალის დაფარვა.

სათადარიგო ფონდს შესაბამისი გამგეობის ან მისი პრეზიდიუმის დადგენილებით შეიძლება მიეცეს სხვა დანიშნულება.

71. სპეციალური ფონდი შედგება საწევრო შენატანის და წმინდა მოგების ანარიცხებისაგან. სპეციალური ფონდი შეიძლება დაწესდეს რესპუბლიკური ყრილობისა და „მონკავშირის“ გამგეობის და მისი პრეზიდიუმის დადგენილებით, სამონადირეო და სათევზაო მეურნეობის, მეძღლეობის, სასროლო-სასტენდო სპორტის, ნადირთმოშენებისა და „მონკავშირის“ სხვა საქმიანობის ორგანიზაციისა და განვითარების მიზნით.

72. კულტურული ფონდი, კადრების მომზადების ფონდი, საპრემიო ფონდი და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდი იქმნება წმინდა მოგების ანარიცხებისაგან.

კულტურული ფონდი გამოიყენება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის (საგამომცემლო, სალექციო, საბიბლიოთეკო და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმე).

კადრების მომზადების ფონდი გამოყენებულ უნდა იქნას ნადირობათმცოდნეთა, სასროლო-სასტენდო სპორტის, სანადირო მეძაღლეობისა და სხვა დარგების სპეციალისტების მოსამზადებლად.

73. საპრემიო ფონდი გამოყენებულ უნდა იქნას „მონკავშირის“ პრეზიდენტის აპარატის, ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობის აპარატის და მათი საწარმოების მოწინავე მუშაკების, სპორტსმენი მონადირეების, მეთევზეების, მესტენდო მსროლელების, სანადირო ჯიშინი ძაღლების გამოზრდის საქმეში ხელისშემწყობ მოწინავე კინოლოგების და მონადირეების დასაჯილდოებლად, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუშაობაში.

74. ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის გამოყენება ხდება „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდენტის, საზოგადოების გამგეობათა აპარატის მუშაკების მატერიალურ და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

75. შესასვლელი და საწვერო შენატანებისა და აგრეთვე ცალკეულ ფონდებში მოგების ვადარიცხვისა და დარჩენილი მოგების გამოყენების ოდენობას განსაზღვრავს „მონკავშირის“ ყრილობა.

VI

მოგება და ზარალი

76. წმინდა მოგებას ანაწილებენ „მონკავშირის“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობები.

77. „მონკავშირის“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების სამეურნეო მუშაობის შედეგად მიღებული ზარალი იფარება სათადარიგო ფონდიდან, ხოლო თუ იგი საკმარისი არ არის, ივსება ძირითადი ფონდიდან.

VII

ანგარიშგება

78. „მონკავშირი“ და მისდამი დაქვემდებარებული იურიდიული წევრები ანგარიშგებას აწარმოებენ ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილი ფორმებისა და წესდების თანახმად.

79. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობები ანგარიშს

უდგენენ „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმს, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის გამგეობისადმი დაქვემდებარებული საქალაქო და რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობები ანგარიშს უდგენენ შესაბამის ზემდგომ გამგეობებს.

80. „მონკავშირის“ გამგეობის პრეზიდიუმში ადგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს ცნობებს საოპერაციო წლის განმავლობაში „მონკავშირის“ მთელი საქმიანობის შესახებ, და იგი წარედგინება მთავრობის სათანადო ორგანოებს.

საანგარიშო წელი ითვლება 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

VIII

„მონკავშირისა“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების ლიკვიდაცია

81. „მონკავშირისა“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების ლიკვიდაცია შეიძლება მოხდეს:

- ა) ზემდგომი სადირექტივო ორგანოების დადგენილებით;
- ბ) ყრილობის (კონფერენციის, კრების) დადგენილებით;
- გ) ზემდგომი შესაბამისი გამგეობის (პრეზიდიუმის) დადგენილებით;
- დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება არაშემძლედ იქნა აღიარებული.

82. „მონკავშირის“ და მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებების ლიკვიდაციისა და მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში მის ფონდებსა და ქონებას, მისდამი წარდგენილი პრეტენზიებისა და აღებულ ვალდებულებათა დაკმაყოფილების შემდეგ, ეძლევა დანიშნულება, რომელსაც აწესებს სალიკვიდაციო ყრილობა (კონფერენცია, კრება), სასამართლო ან მთავრობა.

83. ლიკვიდაცია ხდება სასპორტო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ არსებული კანონების შესაბამისად.

18 მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა შეცვლისა და აღდგენის წესების დამტკიცების შესახებ

„იმ ძირითად დებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერების შეცვლისა და აღდგენის წესს, სააქტო დავთრების შენახვის წესსა და ვადებს, აგრეთვე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის დავთრების ფორმებს“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 2 ივნისის № 410 დადგენილების მე-15 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა შეცვლისა და აღდგენის თანდართული წესები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე ბ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ჭიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1972 წ. 14 თებერვალი, № 64

დამტკიცებულია
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1972 წლის 14 თებერვლის № 64
 დადგენილებით

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა შეცვლისა და აღდგენის წესები

1. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა შეცვლა და შესწორება

1. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერში შეცდომების შესწორებას ან ცვლილებების შეტანას, თუ არსებობს ამისათვის საკმარის საფუძველები და არ წამოჭრილა დავა დაინტერესებულ პირებს შორის, აწარმოებენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერი ორგანოები (მმაჩი);

დაინტერესებულ პირებს შორის წამოჭრის შემთხვევაში ჩანაწერში შესწორების ან ცვლილებების შეტანა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. განცხადება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერებში შესწორებების ან ცვლილებების შეტანის შესახებ შეტანილი უნდა იქნეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მმაჩის ბიუროში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განცხადებას უნდა დაერთოს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ის მოწმობა, რომელიც შესაცვლელია.

3. თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩანაწერი, რომელშიც უნდა იქნეს შეტანილი შესწორებები ან ცვლილებები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მმაჩის სხვა ბიუროშია, განცხადების მიმღები მმაჩის ბიურო გამოითხოვს იქიდან ამ ჩანაწერის პირს.

თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერი, რომელშიც შესატანია შესწორება ან ცვლილება, არ აღმოჩნდა მმაჩის ბიუროში ან მმაჩის საოლქო, რესპუბლიკურ არქივში, ჩანაწერში შესწორება ან ცვლილება შეიტანება მხოლოდ დაკარგული ჩანაწერის აღდგენის შემდეგ.

4. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერებში შესწორებების და ცვლილებების შეტანა ხდება:

ა) შვილად აყვანის, მამობის დადგენის, სახელის, მამის სახელის, გვარის გამოცვლის შესახებ — სათანადო საბუთების წარდგენის საფუძველზე;

ბ) არასრულწლოვანი ბავშვის გვარის გამოცვლის შესახებ — მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე;

გ) 1968 წლის 1 ოქტომბრამდე დაბადებული ბავშვის დაბადების აქტის რეგისტრაციის დავთარსა და დაბადების მოწმობაში მამის მონაცემების შეტანის შესახებ — არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი დედის განცხადების საფუძველზე;

დ) მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მმაჩის ბიუროს დასკვნის საფუძველზე, რომელიც შედგენი-

ლია განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და დამტკიცებულია მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ;

ვ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე:

განცხადების მიმღებ მმართველ ბიუროს შეაქვს საჭირო შესწორებები და ცვლილებები მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩანაწერში ან იგი სათანადო შეტყობინებას (ხოლო ამ პუნქტის „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებულ შემთხვევაში — აღმასკომის გადაწყვეტილებას, დედის განცხადებას ან სასამართლოს გადაწყვეტილებას) უგზავნის იმ მმართველ ორგანოს, სადაც ინახება ჩანაწერი, რომელიც შეცვლას ან შესწორებას საჭიროებს.

ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებული დასკვნა დგება ისეთ შემთხვევებში, როდესაც:

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩანაწერში არ არის მითითებული მშობელთა სახელი, მამის სახელი, გვარი და ეროვნება;

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩანაწერში შეტანილია არასწორი მონაცემები;

ბავშვის დაბადების რეგისტრაციის დროს სახელი და გვარი ჩაწერილია მშობელთა სურვილის გაუთვალისწინებლად;

ბავშვის დაბადების რეგისტრაციის დროს ჩაწერილია არასრული სახელი (დამაკნინებელი, საალერსო, შემოკლებული);

სქესის შეცვლასთან დაკავშირებით (პერმანენტით) სახელის ან გვარის შესწორების აუცილებლობის შემთხვევაში;

როდესაც რეგისტრაციის მომენტში დაშვებულია შეცდომები (დამახინჯებანი, მონაცემების ან ცალკეული სიტყვების გამოტოვება).

5. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანა და მათი შესწორება წარმოებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მმართველ ბიუროში, სადაც ინახება ჩანაწერი. ამასთან, გამოიწერება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ახალი მოწმობა, რომელიც მიეცემა განმცხადებელს ან გაეგზავნება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მმართველ ბიუროს განმცხადებლისათვის ჩასაბარებლად.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერში ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა ეცნობება შესაბამის მმართველ საოლქო, რესპუბლიკურ არქივს.

ჩანაწერების ცვლილების ან შესწორების შეტანა ხდება მათში არსებული ჩანაწერის გადახაზვით და ახალი ან დამატებითი მონაცემების შეტანით.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩანაწერის პირველ და მეორე ეგზემპლარზე კეთდება აღნიშვნა, შესწორების ან ცვლილების შეტანის თარიღისა და საფუძვლის ჩვენებით, რომელიც დამოწმდება აღნიშვნის გამკეთებელი პირის ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით.

6. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების უარი ჩანაწერის შესწორებასა ან შეცვლაზე შეიძლება გასაჩივრდეს სახალხო სასამართლოში, განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.



იმ შემთხვევაში, თუ მმაჩის ორგანომ უარი თქვა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერში შესწორებისა და ცვლილების შეტანაზე, განმცხადებელს თავისი თხოვნით მიეცემა დასკვნის პირი.

7. საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეებს, მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერებში შესწორებისა ან ცვლილებების შეტანის შესახებ განცხადება შეაქვთ სსრ კავშირის საკონსულო დაწესებულებებში საზღვარგარეთ.

ჩანაწერში ცვლილებების შეტანას და მათ შესწორებას აწარმოებს მმაჩის ბიურო ჩანაწერის ადგილის მიხედვით სსრ კავშირის საზღვარგარეთელ საკონსულო დაწესებულებათა შუამდგომლობით.

8. იმ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერში ცვლილებების შეტანა, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და რომლებმაც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის მოქალაქეობრივი აქტების ჩაწერის ორგანოებში, და აღნიშნულ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერების შესწორება აწარმოებს საერთო საფუძველზე.

11. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერების აღდგენა

9. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერების აღდგენა წარმოებს იმ საბუთების წარდგენის შემთხვევაში, რომლებიც ადასტურებენ, რომ სათანადო ჩანაწერი აღრე არსებობდა.

ჩანაწერის დაკარგვის ან განადგურების ფაქტი დადასტურებული უნდა იქნეს მმაჩის იმ საოლქო, რესპუბლიკური არქივის ცნობით, სადაც ინახებოდა დაკარგული ჩანაწერი.

მმაჩის საოლქო, რესპუბლიკური არქივი, რომელიც ადასტურებს ჩანაწერის დაკარგვას, ვალდებულია ჩანაწერის არსებობა შეამოწმოს განცხადებაში მითითებული დასახლებული პუნქტის დავთრებით. შემოწმება აწარმოებს 7 წლის განმავლობაში (ის წელი, რომელიც აღნიშნულია განცხადებაში, აგრეთვე სამი წინა წელი და სამი მომდევნო წელი).

ცნობა ჩანაწერის არ არსებობის შესახებ შეიძლება გაიცეს (გაიგზავნოს) მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩანაწერის არსებობა შემოწმდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მმაჩის ბიუროში, სადაც უნდა ყოფილიყო შენახული განცხადებაში აღნიშნული დასახლებული პუნქტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის დავთრების პირველი ეგზემპლარები.

ცნობაში აღინიშნება ვისზე, რა პერიოდში, და რომელ დასახლებულ პუნქტში მოხდა იმის შემოწმება, არსებობს თუ არა ჩანაწერი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის დავთრებში, აგრეთვე დაცულია თუ არა შემოწმებული პერიოდის (მთლიანად ან ნაწილობრივ) მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის დავთრები და მათში ჩანაწერები (ასეთი ცნობა უშუალოდ ეგზავნება მმაჩის ბიუროს განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).



ცნობა ჩანაწერის არ არსებობის შესახებ მიეცემა (გაეგზავნება) განმცხადებელს, რომელსაც იმავდროულად ეცნობება, რომ სამოქალაქო მდგომარეობის აქტის ჩანაწერის აღდგენის საკითხზე მას შეუძლია მიმართოს მშაჩის ბიუროს (განყოფილებას) თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

10. განცხადება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერების აღდგენის შესახებ უნდა იქნეს შეტანილი მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მშაჩის ბიუროში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) მშაჩის საოლქო, რესპუბლიკური არქივის ცნობა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების სარეგისტრაციო წიგნში ჩანაწერის არ არსებობის შესახებ;

ბ) საბინაო ან საკომლო დავთრის ამონაწერი იმ პირის საცხოვრებელი ადგილის შესახებ, რომლის მიმართ შეტანილია განცხადება ჩანაწერის აღდგენის შესახებ;

გ) ის საბუთები, რომლებიც ადასტურებენ იმ მონაცემებს, რაც საჭიროა ჩანაწერის აღდგენისათვის.

11. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩანაწერის აღდგენის შესახებ განცხადების მიღების დროს განმცხადებელს ეძლევა გაფრთხილება, რომ მშაჩის ორგანოებისადმი ყალბი ცნობების მიწოდებისათვის მას ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 223 მუხლის მიხედვით.

12. განცხადებაში დაბადების აქტის ჩანაწერის აღდგენის შესახებ უნდა აღინიშნოს განმცხადებლის დაბადების ადგილი და დრო, საცხოვრებელი, სამსახურის და სასწავლებლის ადგილები, აგრეთვე სხვა ცნობები, რომლებიც საჭიროა პიროვნების დასადგენად (ქორწინების, განქორწინების, შვილების დაბადების რეგისტრაციის ადგილი და დრო, ცნობები მშობელთა შესახებ).

თუ განცხადებაში აღნიშნული ცნობები, აგრეთვე საბუთებში ჩანაწერები ექვს იწვევს, მაშინ მათი სინამდვილე უნდა შემოწმდეს შესაბამის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შეკითხვების გაგზავნის გზით.

მშაჩის განყოფილებას (ბიუროს) შეუძლია მოსთხოვოს განმცხადებელს ფოტოსურათის წარდგენა, რათა გაიგზავნოს იგი შეკითხვასთან ერთად მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

13. დაბადების აქტის ჩანაწერის აღდგენისას საჭირო შემთხვევებში წარმოებს სამედიცინო შემოწმება იმ პირის ასაკის განსაზღვრისათვის, რომლის მიმართ აღდგენილი უნდა იქნეს ჩანაწერი.

სამედიცინო შემოწმება წარმოებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც იმ პირის მიერ წარმოდგენილ საბუთებში და შემოწმების მასალებში, რომელსაც უნდა აღედგინოს დაბადების აქტის ჩანაწერი, არ არის ნაჩვენები ასაკი, ან არსებობს ასაკის შესახებ საწინააღმდეგო მონაცემები, ასეთ შემთხვევაში ასაკს განსაზღვრავს კომისია, რომელსაც შექმნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, სამედიცინო დასკვნისა და ასაკის შესახებ სხვა მონაცემების ერთობლიობის საფუძველზე.

ასაკის დამდგენი კომისიის შემადგენლობაში შედიან: მმაჩის ბიუროს გა-
მგე, აგრეთვე შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წარმო-
მადგენლები. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული
დაწესებულებების წარმომადგენლები (საპენსიო ასაკის პირთა დაბადების ჩა-
ნაწერის აღდგენისას — სოცუზრუნველყოფის განყოფილებების, წვევამდელი
ასაკის პირთა დაბადების აქტების ჩანაწერის აღდგენისას — სამხედრო კომისა-
რიატების წარმომადგენლები და სხვ.)

დაბადების აქტის ჩანაწერის აღდგენის შესახებ დასკვნას შეადგენს მმაჩის
ბიურო ასაკის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილების შემდეგ.

14. 18 წლის ასაკამდე ბავშვების დაბადების აქტების ჩანაწერების აღდგე-
ნა ხდება მშობლების, მეურვეების, მზრუნველების, საბავშვო დაწესებულე-
ბათა ადმინისტრაციის და სხვა პირთა განცხადებით, რომელთა აღსაზრდელად
ისინი იმყოფებიან.

დაბადების სააქტო ჩანაწერის აღდგენის შესახებ განცხადება შეიძლება
შეტანილი იქნეს თვით არასრულწლოვანის მიერ 16 წლიდან 18 წლამდე, თუ
კი მას ხელთ აქვს პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

15. რამდენიმეჯერ ნასამართლევნი, ანდა რამდენიმე სახელის, მამის სახე-
ლისა და გვარის მქონე პირთა მასალები დაბადების აქტების ჩანაწერების აღ-
დგენის შესახებ შესამოწმებლად გადაეცემა შინაგან საქმეთა ორგანოებს მშრო-
მელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომი-
ტეტის მმაჩის ადგილსამყოფელის მიხედვით, რომელმაც მიიღო განცხადება ჩა-
ნაწერის აღდგენის შესახებ.

შინაგან საქმეთა ორგანოები შემოწმების შემდეგ მასალებს და დასკვნას
შემოწმების შედეგების შესახებ დაუბრუნებენ მმაჩის ბიუროს.

16. ქორწინების, შეილად აყვანის, მამობის დადგენის, სახელის, მამის სახე-
ლისა და გვარის გამოცვლის, განქორწინების, გარდაცვალების აქტების ჩანაწე-
რების აღდგენა წარმოებს მხოლოდ იმ საბუთების საფუძველზე, რომლებიც
ადასტურებენ, რომ ესა თუ ის ჩანაწერი ნამდვილად იყო, ან სასამართლოს გა-
დაწყვეტილების საფუძველზე.

17. წარდგენილი საბუთებისა და შემოწმების შედეგების საფუძველზე მო-
ქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერი ბიურო განმცხადებლის საც-
ხოვრებელი ადგილის მიხედვით შეადგენს დასკვნას მოქალაქობრივი მდგომარე-
ობის აქტის ჩანაწერის აღდგენის შესახებ (ან აღდგენაზე უარის თქმის შესახ-
ებ), რომელიც დამტკიცებული უნდა იქნეს მშრომელთა დეპუტატების რაიონ-
ული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

დასკვნაში უნდა აღინიშნოს: ვინ და როდის შეიტანა განცხადება ჩანაწე-
რის აღდგენის შესახებ და რა ჩანაწერი უნდა იქნეს აღდგენილი: განმცხადებ-
ლის მიერ მოწოდებული ცნობების შემოწმების შედეგები, მმაჩის ბიუროს აზ-
რი დაკარგული ჩანაწერის აღდგენის (ან აღდგენაზე უარის თქმის) შესახებ.
დაბადების აქტის ჩანაწერის აღდგენის დროს დასკვნაში აღინიშნება, თუ რა სა-
ბუთებიდან დასტურდება იმ პირის ასაკი, რომელსაც უნდა აღედგინოს ჩანაწე-
რი დაბადების შესახებ. დასკვნაში აღინიშნება მთელი ცნობები, რომლებიც
შეტანილი უნდა იქნეს აღსადგენი ჩანაწერის შესაბამის გრაფაში ან მას დაერ-



თვის აღსადგენი აქტის ჩანაწერის შევსებული ბლანკი, სადაც აღინიშნება საბუთებისა და შემოწმების მასალებით დადასტურებული ცნობები. ჩანაწერის ბლანკი დამოწმდება დასკვნის შემდგენი პირის ხელმოწერით და ბეჭდის დასმით.

დასკვნა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩანაწერის აღდგენის შესახებ დგება სამ ეგზემპლარად. დასკვნის პირველი ეგზემპლარი მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების ამონაწერთან და შემოწმების მასალებთან ერთად ეგზავნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მმართველის ბიუროს, სადაც ინახებოდა დაკარგული ჩანაწერი. დასკვნის მეორე ეგზემპლარი რჩება მმართველის ბიუროში, რომელმაც დასკვნა შეადგინა, ხოლო მესამე ეგზავნება მმართველს შემდგომ ორგანოს.

იმ შემთხვევაში, როდესაც აღდგენილი უნდა იქნეს მმართველის ბიუროში არსებული ჩანაწერი, ჩანაწერის აღდგენის შესახებ დასკვნა დგება ერთ ცალად.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ჩანაწერის აღდგენაზე უარის შესახებ დასკვნა იწერება ორ ცალად, პირველი—შემოწმების მასალებთან ერთად ინახება მმართველის ბიუროში, მეორე — მიეცემა ან გაეგზავნება განმცხადებელს.

18. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების აღდგენილი ჩანაწერის რეგისტრაცია ხდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მმართველის ბიუროში, სადაც ინახებოდა დაკარგული ჩანაწერი.

ჩანაწერი დგება ორ ცალად, აღდგენილი ჩანაწერის თითოეული ცალი ინორმირება ერთი და იმავე ნომრით. აღდგენილი ჩანაწერის მეორე ცალი ეგზავნება მმართველის საოლქო, რესპუბლიკურ არქივს.

დაბადების აქტების ჩანაწერის რეგისტრაცია ხდება დაბადების აღდგენითი აქტების სარეგისტრაციო დავთარში; სხვა აქტების აღდგენილი ჩანაწერებისა — მიმდინარე რეგისტრაციის დავთარებში.

დაბადების აღდგენილი ჩანაწერების ნუმერაცია იწყება პირველი ნომრიდან და წარმოებს თანმიმდევრობით წლის განმავლობაში. მოქალაქეობრივი მდგომარეობის სხვა აქტების რეგისტრაციის აღდგენილი ჩანაწერები ინორმირება წინა ჩანაწერის ნომრით, რასაც მიემატება ასო „ა“.

19. აღდგენილი ჩანაწერის საფუძველზე გამოიწერება მოწმობა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის რეგისტრაციის შესახებ, რომელიც მიეცემა განმცხადებელს, ან მისთვის გადასაცემად გაეგზავნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მმართველის ბიუროს, განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოწმობას, რომელიც გაიცემა აღდგენილი ჩანაწერის საფუძველზე, გაუქმდება წარწერა ან დაესმება შტამპი „ჩანაწერი აღდგენილია“.

20. თუ მმართველს ორგანოებმა ვერ შესძლეს დაკარგული ჩანაწერის აღდგენა, მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ფაქტის დადგენა ხდება სასამართლოს წესით.

21. საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეებს განცხადება მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერების აღდგენის შესახებ შეაქეთ სსრ კავშირის საზღვარგარეთის საკონსულო დაწესებულებებში.

სსრ კავშირის საზღვარგარეთული საკონსულო დაწესებულებების შუამდგომლობით ჩანაწერის აღდგენა ხდება მმაჩის ბიუროში, სადაც სათანადო ჩანაწერი ადრე არსებობდა.

22. იმ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩანაწერების აღდგენა, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და რომლებმაც მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები რეგისტრაციის ვაჭარეს სსრ კავშირის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერის ორგანოებში, ხდება საერთო საფუძველებზე.

III. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა გაუქმება

23. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერები შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხოლო აღდგენილი და განმეორებით შედგენილი ჩანაწერები — სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მმაჩის საოლქო და რესპუბლიკური ორგანოს დასკვნით.

ჩანაწერის გაუქმება უნდა ეცნობოს იმ პირებს, რომელთა განცხადების საფუძველზე მოხდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია, აგრეთვე მმაჩის საოლქო, რესპუბლიკურ არქივს.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის გაუქმებული ჩანაწერის საფუძველზე გაცემული მოწმობა ჩამოერთმევა.

24. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერებს გაუქმებენ მმაჩის ორგანოები, სადაც ინახება გასაუქმებელი ჩანაწერები, რისთვისაც ისინი ჩანაწერს გადაუსვამენ დიაგონალურ ხაზს. აქტის გაუქმებულ ჩანაწერზე აღინიშნება გაუქმების თარიღი და საფუძველი. აღნიშვნა დამოწმდება იმ პირის ხელის მოწერით. ვინც ჩანაწერი გააუქმა, და ბეჭდის დასმით.

ჩამოერთმეული მოწმობები მოისპობა. მოქალაქეთა პირადობის დამადასტურებელ საბუთებში ხაზი გადაესმება მმაჩის ორგანოების აღნიშვნას გაუქმებული აქტების რეგისტრაციის შესახებ და დაეწერება სიტყვა „გაუქმებულია“. რაც დამოწმდება წარწერის გამკეთებელი პირის ხელისმოწერით და ბეჭდის დასმით.

თუ ქორწინების აქტის ან განქორწინების აქტის გაუქმებული ჩანაწერი გაცემებულია მეუღლეთა ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაშინ მათი პირადობის დამადასტურებელ საბუთებში სათანადო წარწერას გააკეთებენ მმაჩის ორგანოები მეუღლეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ჩანაწერის გამაუქმებელი მმაჩის ორგანოს შეტყობინების საფუძველზე.



19 საქართველოს სსრ სახალხო მეთურნობის ფლის განმავლობაში წამოგვიღო მოთხოვნითა მატერიალური რესურსებით უზ- რუნველყოფის წესის შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეთურნობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროთ, 1972 წლიდან დაწყებული, საქართველოს სსრ მთავარმომარაგებას და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ ისეთ წინადადებათა მომზადება, რომლებიც შეეხება იმას, რომ დამატებით გამოეყოთ წლის განმავლობაში რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებს ყველა სახეობის მატერიალური რესურსები, რესპუბლიკის სახალხო სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ნომენკლატურის პროდუქციის ჩათვლით, გარდა პირუტყვისა და ფრინველის საკვებისა.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

ა) გადასცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს იმის ფუნქცია, რათა მოამზადოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ განაწილდეს:

— მატერიალური რესურსების მთელი რეზერვები, რომლებსაც ითვალისწინებს სახალხო-სამეურნეო გეგმა და ნომენკლატურა, რასაც ანაწილებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, გარდა „ბ“ და „გ“ ქვებუნქტებში აღნიშნული პროდუქციისა, ისე, რომ მოხდეს მათი შემდგომი კორექტირება კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის დაზუსტებასთან დაკავშირებით და დაგეგმილი წლის დამდგენისათვის ნაშთების აღწერის შედეგების მიხედვით.

— საქართველოს სსრ საწარმოთა მიერ დამზადებული ზეგეგმიით პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად რჩება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებაში;

დაწესდეს, რომ ფონდების აღნიშნულ კორექტირებამდე მატერიალური რესურსების გაცემა რეზერვიდან არ წარმოებს;

ბ) გადასცეს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ იმ წინადადებათა მომზადების ფუნქცია, რომლებიც შეეხება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სამშენებლო მექანიზმების, ტრაქტორების, ავტოტრანსპორტის, მინერალური სასუქის, საწვავ-საცხები მასალების და ავტოსაბურავების რეზერვების განაწილებას დარგით „სოფლის მეურნეობა“;

გ) უცვლელად დატოვოს პირუტყვისა და ფრინველისათვის საჭირო საკვების განაწილების წესი.

3. გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს იმის ფუნქცია, რომ გაანაწილოს შოშხარებლებს შორის ყველა სახეობის საკედლე მასალა.

4. გადიდდეს საქართველოს სსრ მთავარმომარაგების ცენტრალური აპარატის მუშაკთა რაოდენობა 10 კაცი, მათ შორის 2 საშტატო ერთეულით ხელფასის 240 მანეთის თვიური ფონდით, რისთვისაც სათანადოდ შემცირდეს

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შტატები და ხელფასის ფონდი.

შილებულ იქნეს ცნობად, რომ ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახ-
მომარაგება სათანადო ცვლილებებს შეიტანს ხელფასის ფონდის და აპარატის
შენახვის ასიგნებათა გეგმაში, რაც საქართველოს სსრ „მთავარმომარაგებას“
დაუწესდა 1972 წლისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიბიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 18 თებერვალი, № 79

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 1972 года

ბანონცხილი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VI-1972 წ. ქალაქის ფორმატი 70×108¹/₁₆,
საბეჭდი თაბახი 3,25, სააღრიცხვო თაბახი 3

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.



06 20360-76187
